ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 22 ოქტომბერი, 2019 №250 (8204) ფასი: 60 თეთრი

## მამუკა ხაზარაძემ გახარიას წერილის დედანი გენერალურ პროკურატურაში ჩააბარა

„პირი, ვინც ხაზარაძეს წერილი გადასცა, ჩვენებას მისცემს“



გვ.5

16 ოქტომბრიდან

გიორგი კოკოშაშვილი

ქართული საბრძოლო ხელოვნება

ჩვენი ღირსებანი




ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი

# ინტერვიუ ირაკლი ოქრუაშვილთან



გვ.2

## „ვიცოდი, რომ საფრანგეთიდან დაბრუნებისთანავე დამიჭერდნენ, მაგრამ მაინც დავბრუნდი“

„საპროცესო შეთანხმება ჩემთვის პოლიტიკური თვითმკვლელობა იქნება“

## „ჩემი პატიმრობა დამოკლეს მახვილია ივანიშვილისთვის“

## „გახარია ბიზნესის „ოცნების“ მხარეზე გადაყვანას შეეცდება“



გვ.3

ნიკა ჩიტაძე: „შესაძლოა ბიზნესზე იყოს ზეწოლა, რომ დაასაქმონ ადამიანები და არჩევნების წინ ხალხი კმაყოფილი იყოს“

„ჩავთვლი, რომ ჩემ მიმართ ტერორს ახორციელებენ, თუ პოლიციელებს არ დასჯიან“



გვ.4



გვ.3

## ბექა ნაცვლიშვილი: „მოსამართლეთა 20-კაციანი სიიდან ბევრი ვერ გავა“



გვ.4

## პაატა ზაქარეიშვილი: „ქართული ოცნება“ უდღეური პარტიაა“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „წამართვეს მანქანის გასაღები, აღმიკვეთეს გადაადგილება“

ISSN 1987-9385

9 771987 938006

2 სასამართლომ რუსთავი 2-ს ყადაღა დაადო და აქიმიძე-ღვალის სარჩელი წარმოებაში მიიღო

5 სამეგრელოში ბაბუამ შვილიშვილი დაჭრა

5 ოქროყანაში თავდასხმისთვის 5 კაცი დააკავეს

6 რუსულმა ბირთვულმა წყალქვეშა ნავმა რაკეტის გაშვება ვერ შეძლო

# ირაკლი ოქრუაშვილი: „ვიცოდი, რომ საფრანგეთიდან დაბრუნებისთანავე დამიჭერდნენ, მაგრამ მაინც დავბრუნდი“

## „ჩემი პატიმრობა დამოკლეს მახვილია ივანიშვილისთვის“

**მატროსოვის ციხეში მყოფმა ირაკლი ოქრუაშვილმა „ახალი თაობის“ კითხვებს უპასუხა.**



***– რა პირობებში ხართ ციხეში და როგორია თქვენი ყოველდღიური ცხოვრება?***

– ციხის ცხოვრება ერთფეროვანია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკანში მარტო ხარ, 23 საათი ჩაკეტილი ხარ 8 კვადრატულ მეტრ საკანში, ხოლო 1 საათი სეირნობ ასევე ჩაკეტილ 20 კვადრატულ სივრცეში გარეთ. დრო კითხვაში, წერაში, ფიქრში და ტელევიზორით თავის შექცევაში გადის.

თუ გინდა დრო სწრაფად გავიდეს, პირველ რიგში, განთავისუფლებისათვის ყალბი მოლოდინი არ უნდა შეიქმნა და მეორე, დღეები არ უნდა ითვალო. თუმცა დღეები ისედაც სათვლელი არ მაქვს, რადგან არ ვიცი, როდის გავთავისუფლდები.

აკრძალული მაქვს მიმოწერა და სატელეფონო საუბრები. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ციხემ ერთადერთი დისკომფორტიც შემიქმნა – უმცროსი შვილები სკოლაში პირველად წავიდნენ, დაპირებული ვიყავი, რომ მე წავიყვანდი და ტყუილი გამომივიდა. ამის გამო სულ პატარა გამებუტა და თავის ნახატებსაც არ მიგზავნის.

***– რა მოლოდინი გაქვთ თქვენი სასამართლო პროცესიდან, ხომ არ შემოუთავაზებიათ საპროცესო შეთანხმების გაფორმება თქვენთვის?***

– თუ ვინმეს უნდა გამამხიარულოს და სიცილის ხასიათზე დამაყენოს, შეუძლია მოვიდეს და საპროცესო გარიგება შემომთავაზოს. საპროცესო გარიგება ნიშნავს ბრალის აღიარებას და ჩემი მხრიდან ამაზე დათანხმება იქნება ყველა იმ ადამიანის შეურაცხყოფა, ვინც ივანიშვილის მიერ გავრილოვის ჩამოყვანით რუსეთთან ფლირტს აპროტესტებდა 20 ივნისს რუსთაველზე, ასევე იმ ადამიანების შეურაცხყოფა, ვინც ივანიშვილმა და გახარიამ იმ ღამეს დაასახიჩრეს და ციხეში გამოკეტეს.

იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ეს იქნება საკუთარი თავის შეურაცხყოფაც და პოლიტიკური თვითმკვლელობა. ასე რომ, თუ ივანიშვილის ან მისი რომელიმე უტვინო მრჩევლის თავში ასეთი აზრი მოიხარშება, რომ საპროცესო გარიგება შემომთავაზოს, აქვე ვეუბნები, რომ ეს აზრი დაივიწყონ.

„საპროცესო გარიგება“ შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ ერთ საკითხს – სახელმწიფოსგან უკანონო პატიმრობის გამო კომპენსაციას არ მოვითხოვ. კანონი კი ასეთ გარიგებას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ასეთი გარიგება არ შედგება!

ჩემთან მიმართებაში ივანიშვილს აქვს სამი არჩევანი, თუ როგორ უნდა გამოძვრეს იმ ხაფანგიდან, რომელშიც თავისი უჭკუობით აღმოჩნდა.

პირველი – მისმა ჯიბის სასამართლომ სრულად გამამართლოს ყველა იმ ბრალდებაში, რომელიც მისი თუ მისი მრჩევლების თავში მოიხარშა.

მეორე – გამომიშვას გირაოთი და საქმე თაროზე შემოდოს.

მესამე – მომისაჯოს მინიმუმ 9 წელი.

არანაირი მეოთხე და საპროცესო შეთანხმება არ არსებობს. ამ სამიდან რომელს აირჩევს, მისი გადასაწყვეტია.

მე მესამე ვარიანტისთვისაც მზად ვარ. მიუხედავად იმისა, რომ მის სასამართლოში ვერანაირ სამართალს ვერ ვიპოვი და უშუალოდ ის იღებს ჩემს საქმეზე გადაწყვეტილებას და არა მოსამართლე, იმაზე ნაკლებ ხანს მომიწევს აქ ყოფნა, ვიდრე მას შეუძლია ეგონოს.

თეორიულად ისიც რომ დავუშვათ, რომ მან ხელისუფლება 2020-ის არჩევნების შედეგად შეინარჩუნოს, ყველაზე გვიან, 2024-ში მისი დასასრული გარდაუვალია და ამ შემთხვევაშიც მაქსიმუმ 5 წელი მომიწევს ციხეში ჯდომა.

> **„ყველაზე უნიჭოდ შენიღბული ამჟამად უსუფაშვილი ჩანს, ყველაზე ანეკდოტურ სიტუაციაში კი ხაზარაძეა“**

რაც მეტ ხანს მომიწევს აქ ყოფნა, მით მეტად „მომემატება“ პოლიტიკური წონა, მით მეტად „გავსუფთავდები“ და სრული მორალური უფლება და მაღალი მოტივაცია მექნება, პოლიტიკურ ეშაფოტზე მე ავიყვანო ის და გილიოტინის სასხლეტს ჩამკეტი მე გამოვაცალო ისე, რომ ვერც ერთი მასზე გადაფარებული პოლიტიკოსი ჩემს შეწინააღმდეგებას ვერ გაბედავს და ვერც მისი თავგადაკლული მხარდამჭერი ვერ გამამტყუნებს. ასე რომ, რაც მეტ ხანს დავრჩები აქ, მით მეტი პრობლემა გახდება მისთვის.

ჩემს ღია წერილში მისდამი სწორედ მაგას გავუსვი ხაზი, რომ მან ჩემთან ურთიერთობაში ცივილური თამაშის წესები დაარღვია და სხვა წესი დაამკვიდრა – „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“. მის შედეგებს კი აუცილებლად იგემებს გარკვეული დროის შემდეგ. ეს მისი უგუნური არჩევანი იყო, იმის გამო, რომ მას პოლიტიკა არასდროს ესმოდა და არც ახლა ესმის.

21-ე საუკუნეში, ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ხანაში, პოლიტიკური ოპონენტის ციხეში ჩასმით მისი საზოგადოებისაგან იზოლირება შეუძლებელია. მიუხედავად აკრძალვისა, სოციალურ ქსელშიც აქტიური ვარ და ინტერვიუებსაც ვიძლევი. არჩევნების მოახლოებასთან ერთად კიდევ მეტად გავაქტიურდები.

პოლიტიკის ისტორიისაც არაფერი ესმის მას და დარწმუნებული ვარ, არც სმენია სიტყვები: „la historia me absolvera“. გაერკვეს ამ სიტყვების მნიშვნელობაში, ვინ, როდის და სად თქვა და დარწმუნდება მის უგუნურ გადაწყვეტილებაში, რომელიც ჩემთან მიმართებაში მიიღო.

საზოგადოებრივი აზრი ჩემს საქმეზე ჩემს მხარესაა და ამით ყოველთვის მოვუგებ მას.

რაც შეეხება სასამართლო პროცესს, მას სერიოზულად საერთოდ არ განვიხილავ და არ ვთვლი, რომ სასამართლოში რამე წყდება. ეს პროცესი ფორმალობა და სპექტაკლია. მოსამართლე იქ არაფერს არ წყვეტს, ყველაფერს ივანიშვილი წყვეტს და ჩემ წინააღმდეგ აღძრულ საქმეს არაფერი აქვს საერთო არც კანონთან, არც სამართალთან და არც მართლმსაჯულებასთან.

ჩემ წინააღმდეგ აღძრული საქმეებიდან არასდროს ერთი გვერდიც კი არ წამიკითხავს იმის გამო, რომ ყველა საქმის მოტივი და მისი შედეგები პოლიტიკით იყო განპირობებული და საქმეებში ჩახედვას დროის კარგვად მივიჩნევდი.

ახლაც პოლიტიკა წყვეტს ჩემი საქმის შედეგს. ამის გამოა, რომ სასამართლოს არც ერთ სხდომას არ ვესწრები, რადგან აზრს ვერ ვხედავ. ადვოკატებსაც წინასწარ ვუთხარი, რომ ბევრი დრო და შრომა არ დაკარგონ ჩემს საქმეზე. ერთადერთი მიზანი ამ სასამართლოების დროს ის მაქვს, რომ პროკურატურის და სასამართლოს შეცდომები იმისთვის გამოვიყენო, რომ სტრასბურის სასამართლოში სარჩელი შევიტანო.

ორ კვირაში ჩემი ფრანგი ადვოკატები პირველად სარჩელს შეიტანენ წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით და ჩემი გათვლებით, სამ თვეში პირველი შედეგი მექნება.

***– პოლიტიკური მიზეზით უკვე მეორედ დაგაკავეს. ელოდით თუ არა, რომ თქვენი პოლიტიკაში დაბრუნება ამ შედეგით გაგრძელდებოდა?***

– ჩემი პრინციპია ან ყველაფერი, ან არაფერი. რა საქმესაც შევდგომივარ, ყველგან მაქსიმალისტი ვიყავი, ვარ და ვიქნები. შესაბამისად, კარგად ვაცნობიერებდი იმას, რომ პოლიტიკაში დაბრუნებიდან მალევე გავხდებოდი საფრთხე ივანიშვილისათვის და დაკავებასაც არ გამოვრიცხავდი, რადგან მას 7 წლის მანძილზე ერთი გონივრული გადაწყვეტილებაც არ მიუღია.

მით უმეტეს, როდესაც ორი კვირით საფრანგეთში წასვლა მომიწია და ჩემი დაცვის წევრი კობა კოშაძე დააკავეს, ვიცოდი, რომ დაბრუნებისთანავე მეც იგივე მელოდა, მაგრამ მაინც დავბრუნდი და შეგნებულად წავედი ამ ნაბიჯზე.

ივანიშვილს ძალიან ძვირი ფასის გადახდა მოუწევს ჩემი და კობა კოშაძის დაკავების გამო.

დრონი მეფობენ და არა მეფენი, ნათქვამია. ვინც ჩემი პოლიტიკიდან განდევნა დაისახა მიზნად, ან გაქცეულია, ან ციხეშია, ან მკვდარია. ივანიშვილს მხოლოდ ისეთ დამონებულებთან უადვილდება ურთიერთობა, ვინც მას თავს უხრის. თავი ცხოვრებაში არავისთვის არ დამიხრია, მით უმეტეს მას, რომელიც ქვეყანას შეგნებულად ანადგურებს, არ დავუხრი.

ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი პრინციპია – „არავის მსახურებდე, არცა ჰმონებდე, გარეშე ღვთისა დამბადებლისა“. ის მე საერთოდ არ მიცნობს და წარმოდგენა არ აქვს ჩემ შესახებ. ჩემზე მხოლოდ სააკაშვილისა და შოთაძის მონაყოლით იცის.

არც სანტიმეტრნახევრიან ლეიბზე ძილი მიქმნის დისკომფორტს და სოზარ სუბარისა და ვიტია ჯაფარიძის ჩაწყობილი ტენდერებით ციხეში მომზადებულ სალაფავსაც უპრეტენზიოდ მივირთმევ. ბავშვების სურათებიც კი არ შემოვაგზავნინე, იმის გამო, რომ მონატრების გრძნობამ არ დამასუსტოს.

ჩემი პატიმრობა დამოკლეს მახვილია ივანიშვილისთვის და ის, ადრე თუ გვიან, დაეშვება მის კისერზე.

***– დაკავებამდე თუ გთავაზობდნენ რაიმე სახის გარიგებას იმის სანაცვლოდ, რომ ხელისუფლების ოპონენტი არ ყოფილიყავით?***

– 20 ივნისის ღამეს ივანიშვილმა ყველა წითელი ხაზი გადაკვეთა და თავმოყვარე, მისი ქვეყნის გულშემატკივარი არც ერთი ადამიანი მასთან საქმეს არ დაიჭერს.

2014-2015 წლებში შოთაძე იყო ჩვენ შორის მისი გამოგზავნილი შუამავალი ბევრ სხვადასხვა საკითხზე, მაგრამ ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ.

***– როგორია თქვენი გეგმები მომავალში?***

– ჩემი ზოგადი გეგმა ციხიდან გამოსვლაა, პრაგმატული და კონკრეტული გეგმა ივანიშვილის ხელისუფლებიდან გაშვებაა 2020-ში. ერთი წუთითაც ეჭვი არ მეპარება და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოძრაობა „გამარჯვებული საქართველო“ 2020-ის არჩევნების შემდეგ გახდება ივანიშვილის საწინააღმდეგო კოალიციის წევრი, რომელმაც ქვეყანა იმ ჭაობიდან უნდა ამოათრიოს, რომელშიც მისი მმართველობის დროს ჩაიძირა – სიღარიბის, კორუფციის, კრიმინალის, ნეპოტიზმის, სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევის, დემოგრაფიული კატასტროფის, შეცვლილი საგარეო ვექტორის ჭაობიდან და ქვეყანა უნდა გახდეს ნატოს წევრი, რათა სამუდამოდ გავთავისუფლდეთ რუსეთის გავლენისგან. ამ ყველაფრისთვის ბრძოლა ციხიდანაც შეიძლება ეფექტურად.

***– ოპოზიციაში ერთგვარი დაპირისპირებაა ახალი წითელი ხაზების დადგენის გამო. რას ფიქრობთ ოპოზიციის შანსებზე 2020 წლისთვის?***

– პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო შალვა ნათელაშვილს, ელენე ხოშტარიას, ნიკა მელიას და ყველა იმ ადამიანს, რომლებიც მხარდაჭერას და სოლიდარობას გამოხატავენ არა მარტო ჩემ მიმართ, არამედ ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც ივანიშვილის მიერ რუსების მოთხოვნით არიან დაკავებულნი გავრილოვის ღამის გამო.

გარედან შეიძლება სასიამოვნო საყურებელი არ იყოს ოპოზიციაში მიმდინარე პროცესები, კინკლაობა, ინერტულობა, ზოგიერთის შტრეიკბრეხერობა, მაგრამ ვთვლი, რომ ოპოზიციაში მიმდინარე პროცესები ჯანსაღია და მის კრისტალიზაციას იწვევს. ივანიშვილი მალე თავად გახდება მისი ფორმულის – შუას გაკრეფვის – მსხვერპლი. ოპოზიციამ არჩევნებამდე უნდა გაიაროს კრისტალიზაციის პროცესი იმ მხრივ, რომ ნათლად და მკაფიოდ გამოჩნდეს, ვინაა ივანიშვილის წინააღმდეგ და ვინაა მის ჯიბეზე ჩამოკიდებული.

ეს გააადვილებს შუას გაკრეფვას და არჩევნების შემდეგ ივანიშვილის საწინააღმდეგო კოალიციის შექმნას.

არჩევნებამდე უნდა არსებობდეს ერთადერთი წყალგამყოფი და წითელი ხაზი – ბიძინა ივანიშვილი, ყველა სხვა წითელი ხაზი ამჟამად მეორეხარისხოვანია.

ყველაზე უნიჭოდ შენიღბული ამჟამად უსუფაშვილი ჩანს, რომელიც არც 20 ივნისს და არც მის შემდეგ არსად გამოჩენილა და არაფერი უთქვამს. 20 სექტემბერს კი, გავრილოვის ღამის სამი თვის თავზე, რუსთაველზე მიტინგზე ახალი პოლიტიკური ქადაგებით მოგვევლინა, რომ ქართულ პოლიტიკაში ცივი ომის დამთავრების დრო მოსულა თურმე.

მისთვის ადვილია ცივი ომის დამთავრება, როდესაც დღესაც ჰარმონიული ურთიერთობა აქვს ივანიშვილთან, ხოლო ჩვენ, 16 ადამიანი, ივანიშვილის გადაწყვეტილებით, ციხეში ვართ გამოკეტილნი.

ყველაზე ანეკდოტურ სიტუაციაში კი ხაზარაძეა, რომელმაც საარჩევნო კამპანია სასამართლოში დაიწყო და სასამართლოში დაასრულებს, ხოლო საარჩევნო ბუკლეტებში ალბათ მისი ფულის გათეთრების საქმეს დაბეჭდავს ან სულაც ანაკლიის პორტის ჩაშლილ პროექტს.

შუას გაკრეფვის პრინციპით ოპოზიციაში გადაჯგუფების პროცესი მალე დასრულდება და გამოჩნდება, ვინაა ივანიშვილის მხარეს და ვინ მის წინააღმდეგ.

პოლიტიკურმა პროცესებმა სასამართლოში გადაინაცვლა. ყოველდღე გავრილოვის ღამის გამო დაკავებულების და ნიკა მელიას საქმეები იხილება, ჩემს საქმეზე აღარაფერს ვამბობ და პოლიტიკოსების დიდი ნაწილი სრულიად ინდიფერენტულია ამ პროცესების მიმართ და თავი აქვთ მომძინარებული, რადგან ჩვენ, მათი გემოვნებით, „მოძალადეებად და კანონის დამრღვევებად“ ვითვლებით.

ჩემდამი ასეთი დამოკიდებულება არ მაკვირვებს, რადგან კონკურენტად აღვიქვები, მაგრამ რა „დააშავეს“ სხვა დაკავებულებმა.

მერე უკვირთ, როდესაც ენდიაის კვლევებში არც პულსი ესინჯებათ და არც – წნევა.

---

# სასამართლომ რუსთავი 2-ს ყადაღა დაადო და აქიმიძე-დვალის სარჩელი წარმოებაში მიიღო

## პაატა სალია: „დაყადაღების გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ“

სასამართლომ ჯარჯი აქიმიძისა და დავით დვალის სარჩელი რუსთავი 2-ის შესახებ წარმოებაში მიიღო.

ამის შესახებ გუშინ, 21 ოქტომბერს, ადვოკატმა კახა კოჟორიძემ ფეისბუქში დაწერა: „სასამართლოდან დამირეკეს, დღე კარგად დაიწყო. რუსთავი 2-ის საქმეზე 2 ახალი ამბავი გვაქვს:

1. აქიმიძის და დვალის სარჩელი მიღებულია წარმოებაში

2. დაკმაყოფილდა ჩვენი შუამდგომლობა და რ2-ის 60% წილს დაედო ყადაღა“.

მოგვიანებით ადვოკატმა უფრო ვრცელი კომენტარიც გააკეთა.

– სარჩელის შეტანის შემდეგ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, სარჩელი არის თუ არა ფორმალურად გამართული. მტკიცებულებები, მოთხოვნები და ა.შ. შეესაბამება თუ არა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას სარჩელის განსახილველად წარმოებაში მიღების შესახებ.

სწორედ ეს გადაწყვეტილება იქნა სასამართლოს მიერ მიღებული, ანუ სარჩელი წარმოებაში მიიღო სასამართლომ, რაც ნიშნავს იმას, რომ განხილვაზე ვერ გვეტყვიან უარს. იქნება განხილვა. სასამართლო მოისმენს ჩვენს და მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებებს.

მეორე ამბავი, რაც გვაქვს, არის ის, რომ ჩვენ სარჩელშივე გვქონდა დაყენებული შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ რადგანაც ვდავობთ 60% წილზე, ამ 60% წილს ყადაღა დადებოდა, რადგან არსებობდა იმის საშიშროება, რომ დავის დასრულებამდე ქიბარ ხალვაშს ეს გაეყიდა.

სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობაც დააკმაყოფილა და რუსთავი 2-ის 60% წილს ყადაღა დაედო. ჩვენ დღეს ჩავიბარებთ სასამართლოს ამ განჩინებას და შემდეგ საჯარო რეესტრში წავიღებთ და უკვე ოფიციალურად დარეგისტრირდება ყადაღა რუსთავის 2-ის 60%-იან წილზე, – უთხრა ინტერპრესნიუსს კახა კოჟორიძემ.

დავით დვალის თქმით, მთელი ბრძოლა ახლა იწყება.

– ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური და მოსალოდნელი, რაც იყო სასამართლოს მხრიდან, არის ის, რომ გაგვირთულებდა, ხანდაზმულობას დააბრალებდა და სარჩელს წარმოებაში არ მიიღებდა. რადგანაც სარჩელი მიიღო, ეს იმას ნიშნავს, რომ ხანდაზმულობის საკითხი მოხსნილია და უნდა გადავიდეთ არსებით განხილვაზე.

ეს ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ თუ ჩვენს ადვოკატს დავუჯერებთ, გაცილებით უფრო მარტივად და მომგებიანად არის ჩვენი საქმე. აგრეთვე მნიშვნელოვანია ისიც, რომ სასამართლომ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა წილის დაყადაღების თაობაზე.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბექა ნაცვლიშვილი: „მოსამართლეთა 20-კაციანი სიიდან ბევრი ვერ გავა“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წარმომადგენელი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **ბექა ნაცვლიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ბექა, ანრი ოხანაშვილმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების შესახებ განაცხადა, ოპოზიცია ეწევა მათ მიზანმიმართულ დისკრედიტაციას, რადგან არაფერი ხელჩასაჭიდი არ აქვსო. რას იტყვით?***

– ყველა – არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოება კრიტიკულია. საზოგადოებაში ამ კანდიდატების მიმართ ცალსახა დამოკიდებულებაა. არ შეიძლება ამ კანდიდატების მიმართ, ზოგიერთის მიმართ განსაკუთრებით კრიტიკული არ იყო. გამომდინარე იმ გადაწყვეტილებებიდან, რომელთაც ადგილი ჰქონდა მათი მხრიდან სააკაშვილის რეჟიმის დროს.

***– თითქოს უკვე ცნობილია, ვინც ვერ მიიღებს „ოცნების“ მხარდაჭერას.***

– „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა, არ ვიცი ბიძინა ივანიშვილის საამებლად თუ გულწრფელად, ძალიან მწვავე შეკითხვები დაუსვეს მოსამართლეობის კანდიდატს, რომელმაც თავის დროზე უარი უთხრა ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობის აღდგენაზე.

ასევე დაუსვეს მწვავე კითხვები მოსამართლეს, რომელმაც მუხროვანის საქმეზე გამამტყუნებელი გადაწყვეტილება მიიღო, შემდეგ სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ ეს ხალხი პოლიტპატიმრებად აღიარა. ხომ ალოგიკური იქნება დღეს, რომ ამ კანდიდატს უმრავლესობამ პარლამენტში მხარი დაუჭიროს და სამუდამოდ გაამწესოს უკვე უზენაეს სასამართლოში?! უკვე პოლიტიკურ არათანმიმდევრულობასთან კი არ გვექნება საქმე, არამედ ამორალურობასთან.

ძალიან ბევრი კანდიდატია, რომელიც მძიმე ჯვარს ატარებს. „ქართული ოცნების“ გარკვეული დეპუტატები კრიტიკულები არიან ამ კანდიდატების მიმართ. ვერ გეტყვით, შოუს დგამენ თუ მართლაც გულწრფელები არიან, მაგრამ ეს მაფიქრებინებს, რომ ამ 20-კაციანი სიიდან ბევრი ვერ უნდა გავიდეს.

არა იმიტომ, რომ პროცესი იმდენად კარგად მიმდინარეობდა და ეს ყველაფერი სწორედ პროცესმა გამოკვეთა, არა, ეს „ქართული ოცნებისთვის“ ძალიან მძიმედ სატარებელი ტვირთი იქნება მომავალში.



***– შალვა თადუმაძის დიპლომი იმდენად სადავო გახდა, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე შეიძლება ლადო ჭანტურია გახდეს. ასეა?***

– გულწრფელად რომ გითხრათ, რამდენიმე, მხოლოდ რამდენიმე კანდიდატი არის, ვისაც შეიძლება მხარი დაუჭირო.

***– შეგიძლიათ გვითხრათ, ვის შეიძლება თქვენი მხარდაჭერა ჰქონდეს?***

– დღეს ცოტა ნაადრევი იქნება ამაზე საუბარი. მერწმუნეთ, თითოეული დეპუტატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამ საკითხზე ფართო განსჯის საგანი იქნება. ეს პროცესი საიდუმლო ვერ იქნება.

ძალიან მძიმე მდგომარეობაშია უზენაესი სასამართლო, მას არ ჰყავს მოსამართლეები და რადგანაც სხვა არ არის წარმოდგენილი, ზოგიერთი კანდიდატი შეიძლება იმსახურებდეს ნდობას.

***– არის მათ შორის შალვა თადუმაძე?***

– კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე დღეს ვერაფერს გეტყვით.

***– ლადო ჭანტურიას სტრასბურიდან ჩამოყვანაზე გსმენიათ?***

– არა.

***– წინასაარჩევნო კამპანიაზეც მინდა გკითხოთ, რომელიც ღიად დაიწყეს ხელისუფლებამ და ოპოზიციამაც. ბოკერია-სააკაშვილის რელიგიურობაც შეიძლება შემადგენელ ნაწილად განვიხილოთ. რთულ დაპირისპირებას ელოდებით?***

– რაც უნდა დაძაბული წინასაარჩევნო კამპანია იყოს, ეს არ არის წინაპირობა, რომ უკეთესი არჩევანი ექნება ამომრჩეველს და უკეთესს აირჩევს. ასეთი დაძაბული დაპირისპირება სწორედ მიანიშნებს იმაზე, რომ შინაარსობრივი დაპირისპირება კი არა, ამბიციურ ადამიანებს შორის დაპირისპირება იქნება – ისეთ პარტიებს შორის დაპირისპირება, სადაც პარტიის ლიდერის მზეს ფიცულობენ და პარტიის რიგითი წევრები ვერაფერს წყვეტენ.

„ქართულ ოცნებას“ უკვე დიდი ხანია, შინაარსი აღარ აქვს, ჩვეულებრივ ბიუროკრატიულ აპარატთან არის შეზრდილი. ეს პარტია ხომ აღარ არის, ბიუროკრატიული საარჩევნო გაერთიანებაა და სხვა არაფერი.

პარტია სრულიად სხვა რამაა. ყოველდღიურად ახალ იდეებს უნდა გენერირებდეს.

ზუსტად იგივე შემიძლია გითხრათ ნაციონალურ მოძრაობაზე და „ევროპულ საქართველოზე“. მამუკა ხაზარაძეც რომ ასეთივე გამონათებაა ქართულ პოლიტიკაში, ესეც ხომ ფაქტია. ერთ ოლიგარქს მეორე ოლიგარქი დაემატება და გვექნება ოლიგარქთა სამიზნე ქვეყანა კიდევ დიდი ხნის განმავლობაში, თუ ეს რეალობა არ შეიცვალა.

***– რა უნდა მოხდეს, რომ შეიცვალოს?***

– ხალხმა საკუთარ თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა. ამ ქვეყანაში 30 წლის განმავლობაში პარტიები არაფერს აკეთებენ. ყველა გვპირდება, მაგრამ არავინ იმ დანაპირებს არ ასრულებს. ამიტომ, სხვა გზა არ დაგვრჩენია ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა. თორემ ხომ ხედავთ, სადამდეა დასული ქვეყნის პოლიტიკა – მიშა სააკაშვილი უფრო რელიგიურია თუ გიგა ბოკერია!

ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც საკუთარი ცხოვრება ადარდებთ, ამ სივრციდან არიან განდევნილი და ვუყურებთ ამ ცირკს. ცირკს, რომელსაც ბოლო არ უჩანს.

დრომოჭმული პარტიები წარსულს უნდა ჩაბარდეს და სადავეები თავად ხალხმა უნდა აიღოს. ახალგაზრდებმა, რომლებსაც უკეთეს საქართველოში უნდათ ცხოვრება. წარსულში ჩარჩენილი პარტიები სწორედ ახალგაზრდებმა უნდა ჩაანაცვლონ.

მაინც არაფერი შეიცვლება და მაინც ერთი და იგივე იქნება! – ეს არის მიდგომა, რომელიც ერთი და იგივე წრეზე გვაბრუნებს, სწორედ ეს უნდა შევცვალოთ. ქუჩაში, ხალხს რომ ჰკითხოთ, სწორედ ამას გიპასუხებთ. ასეთი ნიჰილისტური განწყობები აქვთ მათ.

ეს არის, პირველ რიგში, დამღუპველი. ამიტომ, თვითონ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, რომ ეს რეალობა შეცვალონ. მათ უნდა ირწმუნონ, რომ ეს შეუძლიათ.

# სასამართლომ რუსთავი 2-ს ყადაღა დაადო და აქიმიძე-დვალის სარჩელი წარმოებაში მიიღო

დასაწყისი მე-2 გვერდზე



ქიბარ ხალვაშმა დაახლოებით თვენახევრის წინ გამოაცხადა, რომ სურვილი აქვს, გაყიდოს წილები. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სანამ დავა არ დასრულდება, არ მოხდეს წილების გასხვისება. შესაბამისად, ჩვენთვის დადებითია, რომ ეს მოთხოვნაც დაკმაყოფილებულია, – განაცხადა დვალმა.

მისი თქმით, რთულია საუბარი, რომ გამარჯვება მათ მხარესაა, თუმცა მთელი ბრძოლა ახლა იწყება.

– ყველა არგუმენტითა და მთელი სერიოზულობით ვუდგებით ამ საკითხს. წინ ძალიან სერიოზული ბრძოლა გველის. რა თქმა უნდა, ეს ავტომატურად გამარჯვებას არ ნიშნავს, მაგრამ უკვე დიდი გამარჯვებაა, რომ სასამართლომ ეს წარმოებაში მიიღო, – განაცხადა დავით დვალმა.

* * *

გუშინვე კომენტარი ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა პაატა სალიამაც გააკეთა.

მისი თქმით, არხის 60%-იანი წილის დაყადაღების გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ.

– უნდა მივიღოთ დოკუმენტები სასამართლოსგან და მოსარჩელე მხარისგან. სასამართლოსგან უნდა მივიღოთ განჩინება და მოსარჩელისგან უნდა მივიღოთ სარჩელი. ამ ეტაპზე არც ერთი დოკუმენტი არ მიგვიღია. როცა ჩაგვბარდება მათი მხრიდან სარჩელი, გვექნება 10 დღის ვადა, რომ ვუპასუხოთ შესაგებლით, ხოლო განჩინების ჩაბარების შემდეგ, 5 დღის ვადა გვექნება, რომ გავასაჩივროთ.

ჯარჯი აქიმიძეს და დავით დვალს ჰქონდათ დიდი დრო, ხანდაზმულობის ვადებში მიემართათ სასამართლოსთვის, რაც არ გაუკეთებიათ. ამ შემთხვევაში ჩვენ დავაყენებთ ხანდაზმულობასთან დაკავშირებით პოზიციას და სასამართლომ ამაზე აუცილებლად უნდა იმსჯელოს.

ჩვენი აზრით, არსებობს სრული საფუძველი, გაიზიაროს სასამართლომ ჩვენი არგუმენტაცია სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და, შესაბამისად, უარი თქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ამ ეტაპზე ეს არის ერთ-ერთი არგუმენტი. მას შემდეგ, რაც გავეცნობით სარჩელს, შესაძლოა, გაჩნდეს სხვა არგუმენტებიც, რატომ მიგვაჩნია, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს, – განაცხადა სალიამ.

მისივე განმარტებით, რუსთავი 2-ის 60 %-იანი წილის დაყადაღების გამო, არხის მუშაობას პრობლემები არ შეექმნება.

– ნაადრევია, რამე ვთქვათ ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებით. კომპანია ჩვეულებრივ აგრძელებს საქმიანობას და პრობლემას ვერ ვხედავ ამ ეტაპზე, – აღნიშნა პაატა სალიამ.

# „გახარია ბიზნესის „ოცნების“ მხარეზე გადაყვანას შეეცდება“

## ნიკა ჩიტაძე: „შესაძლოა ბიზნესზე იყოს ზეწოლა, რომ დაასაქმონ ადამიანები და არჩევნების წინ ხალხი კმაყოფილი იყოს“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია გუშინ ბიზნესასოციაციების წარმომადგენლებს შეხვდა, სადაც პრემიერმა ხაზი გაუსვა ბიზნესის როლს ეკონომიკური ზრდის პროცესსა და საშუალო ფენის განვითარებაში.

გახარიას განცხადებები ნიშნავს თუ არა იმას, რომ უკვე დაიწყო 2020-ის არჩევნებისთვის მზადება? ეს განცხადება მიანიშნებს იმაზე, რომ ბიზნესი რეალურად თავისუფალი უნდა გახდეს ბოლო პერიოდში შექმნილი ნეგატიური სურათის გასაქარწყლებლად თუ ისევ ფასადურად შეიქმნება იმიჯი, თითქოს ბიზნესი თავისუფალია, მაგრამ იატაკქვეშეთში ისევ ხელისუფლებასთან გარიგება მოხდება? – ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს:

***– ჩანს თუ არა ის, რომ პარტიებმა არჩევნებისთვის მზადება დაიწყეს? გიორგი გახარიამ ბიზნესმენებთან შეხვედრაზე თქვა, რომ სიღარიბის სერიოზული პრობლემებიაო. არის თუ არა ეს ის, როდესაც ხელისუფლებები ხალხს არჩევნების წინ იხსენებენ ხოლმე?***

– გარკვეულწილად შეიძლება ითქვას, რომ დიახ, პარტიებმა დაიწყეს მუშაობა არჩევნებისთვის, მათ შორის ხელისუფლებაც აქტიურდება ამ მხრივ. ამაზე მეტყველებს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიც, სადაც არის მოცემული პენსიებისა და პედაგოგების ხელფასების მატება.

პენსიონერების რიცხვი საქართველოში 700.000-ს აღემატება. ასევე არის ჯანდაცვისა და სოციალური სამინისტროს ბიუჯეტის ზრდაც, რომელიც შესაბამისი პროექტების განსახორციელებლად არის გამიჯნული. აქედან გამომდინარე ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ 2020 წელს საპარლამენტო არჩევნებია. თავისთავად ამაში ცუდი არაფერია, თუ ლარმა არ დაკარგა მსყიდველუნარიანობა.

რაც შეეხება ოპოზიციას, კოალიცია „ძალა ერთობაშია“ კვირაში ერთხელ თემატურ შეხვედრებს აწყობს, მაგალითად, განიხილება საკითხები ზოგადი სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ეს საკითხები საქართველოში. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ნაწილობრივ დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია.



***– ანუ იმასაც ამბობთ, რომ ბიუჯეტიც არჩევნებზეა მორგებული?***

– ასე პირდაპირ ვერ ვიტყვი, მაგრამ თუ ვთქვათ, პედაგოგებს ეზრდებათ ხელფასები და პენსიები იზრდება, ეს ამას არ გამორიცხავს. პირველ რიგში ბიუჯეტი პენსიების ზრდაზეა გამიზნული. მაგრამ, როდესაც პენსიონერს პენსია 50 ლარით ეზრდება, მისთვის ესეც ბევრს ნიშნავს და ამ ქმედებაზე ცუდს ვერაფერს ვიტყვით.

***– ანუ შესაძლოა ეს მიზანიც იყოს ჩადებული?***

– დიახ. 2019 წელს არ გაზრდილა პენსია, სამაგიეროდ იზრდება 2020 წელს. შესაძლოა საარჩევნო კამპანიის დროს ამაზე ილაპარაკონ, რომ ბიუჯეტი სოციალურ საჭიროებებზეა მორგებული, მაგრამ რომც არ თქვან, ამომრჩევლის მნიშვნელოვანი ნაწილის გულს მოიგებენ. ვიღაცას მოეწონება და ეს იმოქმედებს, თუმცა შესაძლოა ვიღაცამ თქვას, რომ 50 ლარი მისთვის არაფერია.

საპრეზიდენტო არჩევნებისგან განსხვავებით, ამ არჩევნებს გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს. 2018 წელს ვაშაძეს რომ გაემარჯვა, ამით მაინც არაფერი იცვლებოდა იმ თვალსაზრისით, რომ „ოცნება“ ინარჩუნებდა ძალაუფლებას. ამ შემთხვევაში კი ეს არჩევნები გადამწყვეტია.

***– გახარიამ ბიზნესმენებთან ისაუბრა იმაზეც, რომ სამუშაო ადგილებისა და ეკონომიკის განვითარებაში მათი როლი დიდია, ასევე აღნიშნა, რომ მათი ჩართულობით იქნება ყველა გადაწყვეტილება მიღებული. ესეც საარჩევნოდ ხომ არ კეთდება?***

– ხელისუფლება ბიზნესს იყენებს უარყოფითი მიმართულებით და ამის რამდენიმე მაგალითი არსებობს. მაგალითად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს პარტიებზე შემოწირულობების 80% სწორედ „ქართულ ოცნებაზე“ მოდიოდა. იგივე ეხება 2018 წელსაც. ხანდახან ხდება ისე, რომ კონკრეტული კომპანიები „იგებენ“ ტენდერებს, რასაც ხელს უწყობს ხელისუფლება, შემდეგში კი ეს კომპანიები ვალდებულები არიან გარკვეული შემოწირულობები განახორციელონ მმართველი პარტიის სასარგებლოდ. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება ბოროტად იყენებს კერძო სტრუქტურებს.

ხელისუფლება ვერ აიძულებს კერძო კომპანიას, რომ დაასაქმოს ესა თუ ის ადამიანი, მაგრამ მან ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ ბიზნესკლიმატი იყოს ჯანსაღი და ბიზნესი განვითარდეს, რათა ქვეყანაში შეიქმნას დამატებითი სამუშაო ადგილები და დამატებითი ეკონომიკური დოვლათი. გაიზარდოს იმპორტი, რაც ხელს შეუწყობს ლარის კურსის დასტაბილურებას.

***– გახარიას ეს განცხადებები მოახდენს თუ არა გავლენას საზოგადოებაზე?***

– გავლენას მოახდენს. გავლენა სხვადასხვანაირად შეიძლება მოახდინოს. ერთი მხრივ შესაძლებელია, რომ ამომრჩეველი მოისყიდოს ხელისუფლებამ, ამის უფრო ბევრი ბერკეტი ექნება, ვიდრე ეს განხორციელდა საპრეზიდენტო არჩევნებზე, როდესაც ბანკებმა ჩამოაწერეს ვალები მომხმარებლებს.

ხელისუფლება კვლავ გამოიყენებს ადმინისტრაციულ რესურსს და ზეწოლას მოახდენს ბიზნესწრეებზე, რამაც შესაძლოა მოსახლეობის რაღაც ნაწილი ლოიალურად განაწყოს, მაგრამ მეორე ნაწილისთვის იქნება გამაღიზიანებელი, როცა ხელისუფლება ბიზნესზე ახდენს ზეწოლას. თვითონ ბიზნესიც უკმაყოფილოა და ამბობს, რომ მისი აქტივობა შესუსტდა და ნაკლები მოგება აქვს.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 9 წელზე რომ გადავანაწილოთ, დაახლოებით 7%-მდე ზრდა იყო. თანაც ეს ხდებოდა ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოსთვის 4.5 მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარება გამოიყო კრედიტისა და გრანტის სახით. მაგრამ ფაქტია, რომ 7%-მდე ზრდა იყო. დღევანდელი ხელისუფლების პირობებში კი ზრდა საუკეთესო შემთხვევაში 5%-ს არ აღემატება. აქედან ჩანს, რომ ბიზნესაქტივობა შემცირებულია. ვიცით, რომ ბიზნესზე ზეწოლა წინა ხელისუფლების დროს უფრო იყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ იმ პერიოდში უფრო მაღალი იყო ეკონომიკური ზრდა.

***– ხელისუფლების ზეწოლა ბიზნესზე არ ახდენს გავლენას ბიზნესსაქმიანობასა და ბიზნესგარემოზე?***

– როგორ არ ახდენს გავლენას. როდესაც ვსაუბრობ იმაზე, რომ ტენდერს იგებს კომპანია და შემდეგ ის შემოწირულობას აკეთებს მმართველი პარტიის სასარგებლოდ, აქ სწორედ იმაზე ვსაუბრობ, რომ ქვეყანაში არაჯანსაღი კონკურენცია არსებობს. ბიზნესგარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ჯანსაღი კონკურენცია. როდესაც ასეთი რაღაცები ხდება,

გაგრძელება მე-4 გვერდზე



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# პაატა ზაქარეიშვილი: „ქართული ოცნება“ უდღეური პარტიაა“

## არ გამოვრიცხავ, „ოცნებამ“ „ევროპულ საქართველოსთან“ ერთად შექმნას კოალიცია

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** პასუხობს

***– ბატონო პაატა, რაც უფრო ახლოვდება 2020 წლის არჩევნები, მით უფრო მეტი ვერსია ჩნდება, რას მოიმოქმედებს ხელისუფლება. ვისმენთ განცხადებებს „ოცნების“ ლიდერებისგან, რომ მათ პრეტენზია აქვთ აიღონ 60% და კოალიციურ მთავრობას ნაკლებად განიხილავენ. რისთვის ემზადება „ოცნება“ და მათ პოლიტიკას როგორ აფასებთ?***

– ცოტა სასაცილო სიტუაცია შეიქმნა „ქართულ ოცნებაში“, როცა ჯერ კობახიძემ გულწრფელად თქვა ის, რასაც ფიქრობდა, რადგან რეალობასთან უფრო ახლოსაა 45% და მერე თავში ჩაურაკუნეს და უთხრეს, ამას რას ამბობ, ეს ხომ განწყობას ქმნის საზოგადოებაში, რომ ვერ გავიმარჯვებთ. ამის მერე შეცვალა და 60% დააბრეხვა, რაც არის აბსურდი და უაზრობა. კიდევ უფრო მეტად სასაცილო წარმოჩნდა „ქართული ოცნება“.

***– 45% რეალურია? არც ამდენი რეიტინგი აქვს „ოცნებას“.***

– საქმეც ეგაა, 45%-იც რეალური არ არის, მაგრამ წაამატეს. რეალურია – 35%. „ქართული ოცნება“ რომ სხვაზე მეტ ხმას აიღებს, ეს არ ნიშნავს წარმატებას და გამარჯვებას. პროპორციული სისტემით და ევროპული გაგებით, გამარჯვებულია ის პარტია, ვინც თვითონ, მარტო აკომპლექტებს მთავრობას. ხოლო პროპორციული სისტემა, დიდი ნახტომია. „ქართულ ოცნებას“ და გავრილოვს ამისთვის მადლობა ეკუთვნით. პარტია, რომელიც მარტო ვერ აკომპლექტებს მთავრობას, ის ვერ ჩაითვლება გამარჯვებულად. ერთადერთი, რაც შეიძლება წარმატებაში ჩაიწეროს, იქნება ის, რომ მარტო თუ დაამტკიცებს მთავრობას. ნებისმიერი სხვა ფორმა, კოალიცია



და ასე შემდეგ, „ოცნებისთვის“ იქნება უკან გადადგმული ნაბიჯი. თუმცა წინ გადადგმული ნაბიჯი ევროპისა და დემოკრატიისაკენ. ძალიან კარგი იქნება თუ „ოცნება“ თავად ვერ დააკომპლექტებს მთავრობას და მოუწევს სხვა პარტიებთან თანამშრომლობა.

***– როგორ გგონიათ, „ქართული ოცნება“ თანახმაა ითანამშრომლოს „ევროპულ საქართველოსთან“?***

– „ქართულ ოცნებას“, რა თქმა უნდა, პირველ რიგში არ ურჩევნია „ევროპულ საქართველოსთან“, მას ურჩევნია წვრილფეხა პარტიები შემოიკრიბის გარშემო. 55%-ს ვერც ერთი პარტია ვერ დააგროვეს და ვერც დამოუკიდებლად დააკომპლექტებს რომელიმე მთავრობას.

***– ნაცმოძრაობა და „ევროპული საქართველო“ რომ გაერთიანდნენ?***

– ნაცმოძრაობა და „ევროპული საქართველო“ ერთად 35%-საც კი ვერ აიღებენ ყველაზე უკეთეს შემთხვევაში. მათაც დასჭირდებათ წვრილფეხა პარტიების დახმარება. ასე რომ, ძალიან საინტერესო ჭრელი ვარიანტები მოდის. ასე რომ, „ქართულ ოცნებას“ პირველ რიგში ურჩევნია წვრილფეხა პარტიების დახმარებით აწიოს 50%-მდე და თავად დააკომპლექტოს მთავრობა. ხოლო თუ წვრილფეხა პარტიებიც არ ყოფნის, მას მოუწევს თანამშრომლობა „ევროპულ საქართველოსთანაც“. „ევროპული საქართველო“ კი დაელოდება ამ შემოთავაზებას და ამისთვის მზად იქნება. ძალიან ბედნიერებიც იქნებიან ამით და გაიმყარებენ პოზიციებს.

***– თქვენ ნაციონალური მოძრაობის და „ევროპული საქართველოს“ გაერთიანებასაც არ გამორიცხავთ და მათ შორის რომ სერიოზული დაპირისპირებაა?***

– ორივე პარტია, „ევროპული საქართველოც“ და ნაციონალური მოძრაობაც, პრაგმატული პარტიაა, ამიტომ მათი მთავარი ამოცანა დღეს, „ქართული ოცნების“ დამარცხებაა. აქედან გამომდინარე, თუ დასჭირდებათ, აუცილებლად შეეკვრებიან ერთმანეთს. „ევროპული საქართველო“ როგორც ნაცმოძრაობას, ისე „ქართულ ოცნებას“ შეეკვრება. ხომ ვიცნობთ „ევროპულ საქართველოს“, ისინი ყველაფერზე წამსვლელები არიან, ოღონდ თავისი გაიტანონ. თავიდანვე უნდა შევთანხმდეთ, რომ საქართველოზე არავინ არ ფიქრობს, სახელმწიფოზე არავინ არ ფიქრობს. დანარჩენი უკვე ყველაფერი მოსულა, დაახლოებით ეს განცდაა დღეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. ამ ფონზე, როდესაც არავინ არ ფიქრობს საქართველოზე და ყველა ფიქრობს თავის თავზე, ყველაფერი მოსულა.

***– ანუ მთავარია, მოვიდნენ ხელისუფლებაში და გაურიგდებიან და ითანამშრომლებენ ნებისმიერი ნებისმიერთან?***

– ერთადერთი გარიგება ვერ მოხდება ვერავითარ შემთხვევაში „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის. დანარჩენი ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ყველანაირი ვარიანტი მოსალოდნელია დღევანდელ საქართველოში.

***– ბევრი ექსპერტი „ქართული ოცნების“ დაშლასაც არ გამორიცხავს 2020 წლისთვის. ამაზე რას ფიქრობთ?***

– „ქართული ოცნება“ უდღეური პარტიაა, ადრე თუ გვიან ბიძინა ივანიშვილს მობეზრდება და ისინი იმაზე მალე აორთქლდებიან, ვიდრე მოქალაქეთა კავშირი აორთქლდა და აღორძინება. ეს არის უპერსპექტივო და აბსოლუტურად უმომავლო პარტია. მას ოპოზიციაში ყოფნის უნარიც არ აქვს, არასდროს ყოფილა ოპოზიციაში, ის მოვიდა საპროტესტო ტალღაზე, ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ აგორებულ ტალღაზე, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ თავად გამოიმუშავა. ეს განწყობა ხალხში შეიქმნა, „ქართულ ოცნებას“ და ბიძინა ივანიშვილს არ შეუმუშავებია. „ქართული ოცნება“ ერთ დღესაც კი ვერ გაძლებს ოპოზიციაში, უცებ აორთქლდება და დაიშლება. იქ პრაქტიკულად პოლიტიკოსები არ არიან. იქ შეიძლება ამოიზარდოს შედარებით ღონიერი ძარღვი...

***– ვის მიერ?***

– „ქართული ოცნება“ რომ ჩამოიშლება, შეიძლება ხელში შეგვრჩეს კახი კალაძე და მისი გუნდი. შესაძლოა დარჩეს შედარებით სიცოცხლისუნარიან პოლიტიკურ ძალად. ის ძლიერი პოლიტიკოსი არაა, მაგრამ კარგი მერი და მეურნეა, მისგან გამორიცხული არაფერია.

***– წამოვა კალაძე „ოცნებიდან“?***

– კალაძე არ წამოვა „ოცნებიდან“, ვიდრე „ოცნება“ არ ჩამოიშლება. კალაძე არ დაშლის „ოცნებას“, იმიტომ, რომ ამით თავის თავს დააზიანებს. დაელოდება ჩამოშლას და იტყვის, რომ „ოცნება“ ჩამოიშალა, მაგრამ ჩვენ ვრჩებით. თუმცა სახელს არ შეინარჩუნებს. ის არ დაშლის, ის არ იქნება ინიციატორი ამ დაშლისა. მხოლოდ 2020 წლის არჩევნების შემდეგ დაიწყებს კალაძე თავისი პოლიტიკის წარმოებას. ჯერ შეხედავს, როგორ დალაგდება პოლიტიკური სიტუაცია.

***– და რას ფიქრობთ, როგორ დალაგდება?***

– დღევანდელი გადმოსახედიდან ძალიან რთულია ამაზე ლაპარაკი. მე მაინც ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ მოახერხებს კოალიციის შექმნას.

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „წამართვეს მანქანის გასაღები, აღმიკვეთეს გადაადგილება“

## „ჩავთვლი, რომ ჩემ მიმართ ტერორს ახორციელებენ, თუ პოლიციელებს არ დასჯიან“

გულიკო ბალაძე

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე **ნიკოლოზ მჟავანაძე** „ახალ თაობასთან“ საუბრობს იმ ქმედებებზე, რომლებიც მის მიმართ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ჩაიდინეს.

***– ბატონო ნიკოლოზ, პოლიციასთან რა პრობლემები შეგექმნათ?***

– რაც მოხდა ბათუმში 2017 წელს, შესაძლოა თბილისშიც იგივე განხორციელდეს. კარგად გახსოვთ, ბათუმში პატრულმა მოქალაქეებზე რომ იძალადა, აღშფოთებულმა ბათუმელებმა ლამის ნახევარი ბათუმი გადაწვეს, მთელი ვნებათაღელვა და გამოსვლები მოჰყვა. ამის გამოყენება სცადა ნაცმოძრაობამ და შემდეგ ყველაფერი სხვა ჭრილში გადავიდა. თავიდან პროტესტი გამოიწვია პოლიციის უკანონო მოქმედებამ.

იგივე ხდება თბილისში. ამის ნათელი დასტურია ჩემ მიმართ პოლიციის მხრიდან განხორციელებული ძალადობა, ჩემი 11 წლის ქალიშვილის თანდასწრებით.

***– ძალადობა რაში გამოიხატა?***

– ამ ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე, პოლიციის ერთ-ერთმა ეკიპაჟმა გამომიწერა ჯარიმა, რაც არ გამიპროტესტებია, ღვედი არ მეკეთა. მათ დაიწყეს ჩემი პროვოცირება.

***– როგორ პროვოცირებდნენ?***

– დაიწყეს პროვოცირება, თითქოს მე მათ შეურაცხყოფა მივაყენე. უნდოდათ პროტესტი გამომეხატა, მაგრამ არ გამოუვიდათ. იგივე ეკიპაჟმა, ოღონდ სხვა რაიონში, გამაჩერა (ჩემი დევნა რომ ხორციელდება, იმით დასტურდება, რომ ერთი და იგივე ეკიპაჟმა სხვადასხვა რაიონში გამაჩერა). ჯარიმის გამოწერის შემდეგ, იგივე ეკიპაჟმა ჩემ მიმართ მუქარა და ძალადობა განახორციელა.

***– როგორ?***

– წამართვეს მანქანის გასაღები, აღმიკვეთეს გადაადგილება, მითხრეს, შეურაცხყოფა მოგვაყენეო. თუ შეურაცხყოფა მივაყენე, მათ ხომ უნდა ამოეწერათ ამის დამადასტურებელი ჯარიმა? ნახევარი საათი გამაჩერეს. ჰქონდათ ილუზია, ბავშვი რომ ტიროდა, ვერ მოვითმენდი და შეურაცხყოფას მივაყენებდი. ვიცოდი, რომ მათაც ეს უნდოდათ.

***– სამართალდამცავ ორგანოებს არ მიმართეთ?***

– პროკურატურას მივმართე, 9 დღე გავიდა, მაგრამ პროკურატურიდან კაციშვილი არ დამკავშირებია.

***– მათი მიზანი რა უნდა ყოფილიყო?***

– რეალურად მათი მიზანია ჩემი პროვოცირება. დავალება ჰქონდათ. აქამდე იმიტომ არ დამიკავშირდნენ. ალბათ, სამხრეკამერებს წაშლიან.

ბოლო პერიოდში ხშირად ვსაუბრობ გარეჯთან დაკავშირებით ხელისუფლების კაპიტულანტურ პოლიტიკაზე. ამის გამო ორჯერ განახორციელეს ჩემზე მუქარა.

მათი მიზანია ჩემი პროვოცირება და განეიტრალება. პოლიციაში განცხადებები შევიტანე, მაგრამ დღემდე გამოუძიებელია. ყველა მტკიცებულება მივიტანე, სადაც ნათლად ჩანს, ვინ განახორციელა მუქარა. ერთადერთი, ბრალის წაყენება იყო დარჩენილი.

***– ამ შემთხვევაში რა ფორმით დაგემუქრნენ?***

– ფიზიკური განადგურებით დამემუქრნენ. მითხრეს, რომ სულელი პოლიციელია, მას ყურადღება არ უნდა მივაქციო. ერთ საქმეზე მივიტანე მტკიცებულებები, არ გამოიძიეს, მეორე საქმე არ გამოიძიეს. მესამედ ძალადობაა და არ იძიებენ, რაც მაფიქრებინებს, რომ ყველაფერი მათგან მოდის.



ამგვარი ქმედებით ისინი ძალიან ცუდ შედეგებს მიიღებენ. ასეთი დაშინებები მათ არ გაუვათ. ვფიქრობ, ხელისუფლება დაადგა ტოტალური ძალადობის გზას. სააკაშვილის ძალადობის მანქანა რომ დაიქოქა, ველარ გააჩერეს – ხალხს ქუჩაში ხვრეტდნენ, ყველგან ხოცავდნენ. მსგავსი ძალადობრივი მანქანა თუ ჩაირთო, ვერავინ შეაჩერებს და შემდეგ თვითონაც შეეხებათ.

***– შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოლიციის კონკრეტული ეკიპაჟი თვითნებურად მოქმედებდა?***

– როგორ მოქმედებდა თვითნებურად? ერთ კვირაში ერთი და იგივე ეკიპაჟი რატომ უნდა ახორციელებდეს პატრულირებას? თუ მართლა თვითნებობა იყო, 9 დღის განმავლობაში ხომ უნდა დავებარებინე? თან ეს საქმე ყველამ გაიგო – ინფორმაცია ფეისბუქით გავრცელდა, ადვოკატებმა განცხადება გააკეთეს. ადვოკატთა ასოციაციამ დაგმო პოლიციის ქმედება. უამრავი ჩემი კოლეგა დამიკავშირდა და მხარდაჭერა აღმითქვა.

ყველაზე ცუდი ისაა, რომ პოლიციაში ცუდი პროცესებია, ამ დღეებში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა.

***– რას გულისხმობთ?***

– სასამართლოში ერთ სისხლის სამართლის საქმეზე გამოვდიოდი. საქმე სხვა რაღაცას ეხება (საქმის ნომერია 1/505-19), მაგრამ პროცესზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ქალბატონმა ეკატერინე გაბრიჩიძემ აღიარა, რომ საქართველოში მობილური სატელეფონო საუბრები ისმინება.

***– როგორ აღიარება?***

– მოსამართლის ნათქვამს სიტყვა-სიტყვით წაგიკითხავთ: „დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ვოტსაფისა და ვაიბერის საშუალებით ცდილობდნენ კომუნიკაციის დამყარებას ჯგუფის სხვა წევრებთან კომუნიკაციის ფარულად განხორციელების მიზნით.“ თუ მე და თქვენ ვოტსაფითა და ვაიბერით ვილაპარაკებთ, სახელმწიფოს შეიძლება ეჭვი შეეპაროს, რომ ჩვენ ფარულად ვცდილობთ ვილაპარაკოთ.

***– ვაიბერით საუბარი ხომ უფასოა და ამიტომაც სარგებლობენ?***

– დიახ, უფასოა. მეორეც, ორი ადამიანი როგორც ვოტსაფსა და ვაიბერში ლაპარაკობს, ისე ლაპარაკობს ჩვეულებრივად. ე.ი. სახელმწიფომ აღიარა, რომ სატელეფონო მოსმენები ხორციელდება. შინაარსი ეს არის, თორემ მინდა ვოტსაფით ვილაპარაკებ, მინდა სკაიპით. ეტყობა, ვოტსაფითა და ვაიბერით ვერ უსმენენ ადამიანებს, მაგთითა და ჯეოსელით ლაპარაკი ჩვეულებრივად ისმინება, ამიტომ ვიღაც პიროვნებები ვოტსაფითა და ვაიბერით რომ საუბრობდნენ, სასამართლომ თქვა, მათ შორის კომუნიკაციის დამყარების ფარული მცდელობა იყოო.

ეს ადამიანები, მათ შორის, ამის გამოც გაამტყუნეს. ეს არასწორი ინტერპრეტირებაა. შეიძლება სხვა მოსამართლეებმაც გამოიყენონ და საქმე დაამძიმონ. ეს საკმაოდ ცუდი ფაქტორია.

საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ თუ სახელმწიფოს თქვენი უკანონო პასუხისგებაში მიცემის გარკვეული მიზანი აქვს, ვოტსაფითა და ვაიბერით ლაპარაკი შეიძლება შემოდავების მიზეზი გახდეს, ფარულად, სახელმწიფოს გვერდის ავლით, რაღაც კომუნიკაციას ამყარებსო. განსასჯელების წინააღმდეგ სასამართლო ამას არგუმენტად იყენებს, რაღაც დანაშაულებრივ ჯგუფში არიან გაერთიანებული და ფარულად მოქმედებენო. საქართველოს მოქალაქეები, ფაქტობრივად, დიდი რისკის ქვეშ არიან, როდესაც ვოტსაფითა და ვაიბერით ლაპარაკობენ.

საქართველოში ძალადობა ასე მკვიდრდება: პატრული ძალადობს, ვოტსაფითა და ვაიბერით საუბარი შეიძლება ჩაგვითვალონ ფარულ საუბარში. უკანონოდ ვერავინ ჩაგვითვლის, მაგრამ შეიძლება ეჭვი შეიტანონ.

***– პოლიციელებს სამხრე კამერები ჩართული ჰქონდათ?***

– ჩართული ჰქონდათ. შს მინისტრ გომელაურს მოვუწოდებ, მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები. თუ პოლიციელების თვითნებობა იყო და არა მიზანმიმართული ქმედება ჩემ წინააღმდეგ, დასაჯონ ის პოლიციელები, ვინც ჩემ მიმართ ძალადობა განახორციელა. გამოიძიონ მუქარის საქმეები. თუ არ გამოიძიებენ, ჩავთვლი, რომ ჩემ მიმართ ტერორს ახორციელებენ.

უკანონობას პასუხი ყოველთვის უნდა გაეცეს. როცა ადამიანი თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას იყენებს, ეს არის დანაშაული.

***– გახარიამ განაცხადა, რომ არ დაინდობენ იმ პოლიციელს, რომელიც დანაშაულს ჩაიდენს.***

– გახარია ახლა შს მინისტრი აღარ არის, შს მინისტრი გომელაურია.

# „გახარია ბიზნესის „ოცნების“ მხარეზე გადაყვანას შეეცდება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რომ კომპანია ჯერ ტენდერს „იგებს“ და ცოტა ხანში სახელისუფლებო პარტიის სასარგებლოდ მსხვილ შემოწირულობას აკეთებს, ეს სწორედ არაჯანსაღ კონკურენციაზე მიუთითებს და ამ დროს სხვა კომპანიებს პრობლემები ექმნებათ.

***– გახარიას ეს განცხადება მიმართულია იქითკენ, რომ რეალურად თავისუფალი იყოს ბიზნესი და მათი ჩართულობა იყოს ყველა გადაწყვეტილებაში, რაც ბიზნესს უკავშირდება, თუ ესეც არის ის, რომ გახსნილობის იმიჯი შეიქმნან, მაგრამ იატაკქვეშეთში სხვა რაღაცა გააკეთონ?***

– ეს რეალურად გამოჩნდება არჩევნების წინ. დიდი ალბათობით შემოწირულობების დიდი ნაწილი ისევ მმართველი პარტიის მხარდასაჭერად იქნება მიმართული. აქედან გამომდინარე არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ პრემიერის ბიზნესმენებთან შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენს ის, რომ ბიზნესი ლოიალურად განწყობილი იყოს ხელისუფლების მიმართ და ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ უზრუნველყოს შემოწირულობების შემოსვლა მმართველი პარტიის სასარგებლოდ.

ბუნებრივია, ამას პირდაპირ არავინ არ იტყვის და იტყვიან იმას, რომ დაინტერესებულები არიან თავისუფალი ბიზნესის კეთებით, დაინტერესებულები არიან ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობით და ა.შ., მაგრამ შესაძლოა ხელისუფლების მხრიდან ბიზნესზე ირიბი ზეწოლაც იყოს, რომ მათ დაასაქმონ მეტი ადამიანი, რათა არჩევნების წინ მეტი ადამიანი იყოს კმაყოფილი. იმიტომ, რომ სხვადასხვა კვლევებში, მათ შორის „ენ-დი-აი“-ს და „აი-არ-აი“-ს კვლევებში ჩანს, რომ მოსახლეობის 60% თავს დასაქმებულებად არ მიიჩნევს. ოფიციალური სტატისტიკა 13-14%-ია, მაგრამ ეს ცდომილებაც გასაგებია. იმიტომ რომ, მაგალითად, ვისაც სოფლად აქვს კარ-მიდამო, თვითდასაქმებულად მიიჩნევიან, თუმცა ის ადამიანები თავს უმუშევრად მიიჩნევენ.

# ოქროყანაში თავდასხმისთვის 5 კაცი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო და დეტექტივების სამმართველოების, ასევე, ძველი თბილისის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა, პროკურატურასთან ერთად, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის, ყაჩაღობის მომზადების და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა ტარების ბრალდებით, თბილისში ერთობლივად დააკავეს დანაშაულებრივი დაჯგუფების 5 წევრი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა 4 პირი: 1977 წელს დაბადებული, წარსულში ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების, ყაჩაღობისა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის ნასამართლევი ნ. მ., 1960 წელს დაბადებული, წარსულში ანალოგიური და ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი დ.გ., 1960 წელს დაბადებული, ადრე ყაჩაღობისთვის ნასამართლევი გ.მ. და 1965 წელს დაბადებული ნ.კ. 18 ოქტომბერს, თბილისში, ჯანჯღავას ქუჩაზე იმ დროს დააკავეს, როდესაც ისინი ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელ სახლზე ჯგუფურად ყაჩაღურ თავდასხმას აპირებდნენ.

ამავე ფაქტზე, დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის, სამართალდამცველებმა ბრალდებულის სახით დააკავეს 1986 წელს დაბადებული ზ.მ.

პოლიციამ, ერთ-ერთი დაკავებულის – გ.მ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო. დანაშაულებრივი ჯგუფის სარგებლობაში არსებული ავტომანქანიდან, ასევე, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღები, დანაშაულის ჩადენისთვის საჭირო ნივთები და ნიღბები.

ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა დანაშაულებრივი ჯგუფის მე-5 წევრი, 1965 წელს დაბადებული კ.დ. ბრალდებულის სახით მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

გამოძიებით დგინდება, რომ აღნიშნულმა ჯგუფმა მიმდინარე წელს, 28 აგვისტოს, დაბა ოქროყანაში ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელ სახლზე ყაჩაღური თავდასხმა განახორციელა. მათ ოჯახის წევრებს ძალადობის მუქარით წაართვეს პირადი ნივთები, ფული, ძვირადღირებული ოქროს სამკაულები, რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი, ავტომობილი და მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებებით დაადგინეს, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ყაჩაღობის მიზნით ავჭალაშიც გეგმავდნენ ერთ-ერთი ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმას, რაც პოლიციის ოპერატიული რეაგირების შედეგად ვერ განახორციელეს.

წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ ჩადენილი ყაჩაღობის, დანაშაულის მომზადების და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით, ასევე, 18-179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ჩადენილი დანაშაული 8-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# გლდანში კაზინო „ბეთლაივში" 5 ადამიანი გაზით მოიწამლა



გუშინ, 21 ოქტომბერს, თბილისში, გლდანის კაზინო „ბეთლაივში", გაზის გაჟონვის შედეგად, 5 ადამიანი მოიწამლა.

ხუთივე პირი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გლდანში გაზსადენის დაზიანების გამო, 350 აბონენტს გაზმომარაგება შეუწყდა, – ამის შესახებ „თბილისი ენერჯის" მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

უწყების თქმით, მოსახლეობას გაზმომარაგება სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე ეტაპობრივად აღუდგება:

„გლდანის რაიონში, ხიზანიშვილის ქუჩაზე წყალმომარაგების სისტემაზე მიმდინარე სამუშაოებისას კომპანია NCC-მ საშუალო წნევის გაზსადენი დააზიანა. შედეგად 350 აბონენტს ავარიულად შეუწყდა გაზმომარაგება. შემთხვევის ადგილზე მისულმა სწრაფი რეაგირების ჯგუფმა უსაფრთხოების მიზნით გადაკეტა გაზმომარაგების ონკანები. უსაფრთხოების მიზნით შემოწმდა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობები.

შემოწმებისას დადგინდა, რომ, სავარაუდოდ, მილის დაზიანების გამო ვენტილაციის არხებით გაზი კაზინო „ბეთლაივში" და აფთიაქ „ფარმადეპოში" შევიდა. საპატრულო პოლიციამ ხალხის ევაკუაცია მოახდინა და შენობები გაანიავა.

ამ ეტაპზე ადგილზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. სარემონტო სამუშაოები მისი დასრულებისთანავე დაიწყება.

კომპანია „თბილისი ენერჯი" ბოდიშს უხდის აბონენტებს მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით შექმნილი დისკომფორტისთვის. გაზის მიწოდება სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე, ეტაპობრივად აღდგება" – ნათქვამია „თბილისი ენერჯის" მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მომხდარზე გამოძიება შსს-მ სსკ-ის 240 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც გაზის ობიექტზე ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.



# მესტიაში ძმამ ძმა მოკლა

მკვლელობა მოხდა სვანეთში – ურთიერთშელაპარაკების დროს მესტიაში ცივი იარაღით ძმამ ძმა მოკლა.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია დანა. ძმის მკვლელობაში ბრალდებული სამართალდამცველებმა უკვე დააკავეს.

# „მძარცველები ქართველებს ჰგავდნენ"

## ათენში მოხუცი მამაკაცი აწამეს და გაძარცვეს



ბერძნული მედიის ცნობით, 19 ოქტომბერს ღამით ათენის გარეუბან ვულაში საქართველოს მოქალაქეებმა აწამეს და გაძარცვეს სახლის მეპატრონე.

როგორც 74 წლის მამაკაცი ყვება, მას 5 საათის მანძილზე აწამებდნენ და აიძულებდნენ ეთქვა, თუ სად ჰქონდა თანხა. თავდაპირველად სეიფის არსებობის შესახებ უთხრა, მაგრამ მძარცველები ამას არ დასჯერდნენ და კედლებიც კი გამოანგრიეს.

მამაკაცს მოტეხილი აქვს ხელი, ცხვირი და ჩამტვრეული აქვს კბილები. მას წყლით სავსე ნიჟარაში აყოფინებდნენ თავს.

მამაკაცს ხელზე ქირურგიული ჩარევა სჭირდება.

სახლიდან წაღებულია ათასობით ევრო, დიდი რაოდენობით ოქრო და ვიდეო მასალაც, რომელზეც ისინი ძარცვის მომენტში იყვნენ აღბეჭდილები.

– ისინი ჩემს სახლში დილიდან შევიდნენ, თუმცა, ვერ შეძლეს სასურველი რაოდენობის თანხის და ძვირფასეულობის პოვნა და დამელოდნენ, ვიდრე სახლში დავბრუნდებოდი. მაწამებდნენ, ვიდრე ვიტყოდი, სად მქონდა თანხა. ისინი ბერძნები არ იყვნენ, სავარაუდოდ, უფრო ქართველებს ჰგავდნენ, – განაცხადა მოხუცმა.

# მამუკა ხაზარაძემ გახარიას წერილის დედანი გენერალურ პროკურატურაში ჩააბარა

## „პირი, ვინც ხაზარაძეს წერილი გადასცა, ჩვენებას მისცემს"



გუშინ, 21 ოქტომბერს, მამუკა ხაზარაძემ გენერალურ პროკურატურაში იმ „მუქარის წერილის" დედანი ჩააბარა, რომელიც, მისი ინფორმაციით, შს ყოფილი მინისტრისა და მოქმედი პრემიერის, გიორგი გახარიასგან მიიღო.

ხაზარაძემ უწყებას ასევე წარუდგინა წერილზე ლონდონში ჩატარებული ექსპერტიზის პასუხები.

– წერილი ჩაბარებულია. ახლა ჩვენ წავალთ აქედან სახალხო დამცველთან და ჩავაბარებთ ყველაფრის ასლს და იმას, რომ ყველაფერი ჩავაბარეთ პროკურატურას. დანარჩენი უკვე პროკურატურის საქმეა.

ჩვენ უნდა დავიცვათ ის სამართლებრივი გზები, რომლებიც არსებობს. თუ ამოვწურეთ სამართლებრივი გზები და შედეგი ვერ დადგა, არსებობს სხვა სამართლებრივი საშუალებებიც. ამიტომ, როგორც მოგახსენეთ და შეგპირდით, ჩვენ სამართლებრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით ამ საქმეს.

ჯერჯერობით ვაცლით პროკურატურას. ჩვენ გვჭირდება შესაბამისი ორგანოების სამართლებრივი აქტები, რომლებიც შეაფასებენ სიტუაციას და იმ სამართლებრივ აქტებს, სად და როგორ გავასაჩივრებთ, ეს მომავლის საქმეა, – განაცხადა ხაზარაძის ადვოკატმა.

მისივე განცხადებით, უშუალოდ „მუქარის წერილზე" „17 ადამიანის თითის ანაბეჭდი ამოვიდა". ხაზარაძე და მისი უფლებადამცველი მოითხოვენ, პროკურატურამ აღნიშნული ანაბეჭდები საქართველოს ბაზაში არსებულ თითის ანაბეჭდებს დაადაროს და ყველა მათგანი გამოკითხოს იმის დასადგენად, რა შემხებლობა ჰქონდათ აღნიშნულ წერილთან.

გუშინვე ზვიად კორძაძემ პრესკონფერენცია ჩაატარა, რომელზეც თქვა, რომ პირი, რომელმაც მამუკა ხაზარაძეს გიორგი გახარიას წერილი გადასცა, მზადაა, გამოძიების დაწყებისთანავე ჩვენება მისცეს.

– ამ საქმეზე შუამავალი არ არსებობდა, ხოლო ვინ არსებობდა, ამას გამოძიება დაადგენს. ამასთან დაკავშირებით წარდგენილი იქნება საბუთები. როგორც კი გამოძიება დაიწყება ამ საქმეზე რეალურად, პირი, რომელმაც მოიტანა წერილი, გამოცხადდება და მისცემს ჩვენებას. ის მზადაა ჩვენების მისაცემად, – განაცხადა კორძაძემ.

ადვოკატის თქმით, გამოძიების დასადგენია, გახარია იყო მუქარის ავტორი, თუ პირი, რომელმაც წერილი გამოატანა სხვა პირს ხაზარაძესთან.

– არავის უთქვამს, რომ ბრალდების მთავარი ადრესატი არის გიორგი გახარია. ბრალდების მთავარი ადრესატი ის კი არაა, ვისგან გადმოგვეცა წერილი, არამედ ის, ვისგან მოდიოდა ეს მუქარა.

ეს არის გამოძიების დასადგენი. გახარია იყო მუქარის ავტორი, თუ პირი, რომელმაც წერილი გამოატანა, ეს ჩვენი დასადგენი არაა. მამუკა ამბობს იმას, რაც იცის – წერილი მოვიდა გიორგი გახარიასგან, – აღნიშნა ადვოკატმა.

# სამეგრელოში ბაბუამ შვილიშვილი დაჭრა




ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში ბაბუამ 27 წლის შვილიშვილი დაჭრა.

დაშავებული კლინიკაშია მოთავსებული. მას ჭრილობები ბასრი საგნით აქვს მიყენებული.

მომხდარში ბრალდებული, 1937 წელს დაბადებული მამაკაცი უკვე დაკავებულია.

როგორც „კურიერთან" ოჯახის ნათესავი ლალი არქანია ამბობს, მომხდარს დაჭრილის მეუღლე შეესწრო. მისივე თქმით, კონფლიქტი ოჯახური იყო.

მეზობლების განცხადებით, შემთხვევის შესახებ ხმაურის შემდეგ გაიგეს. გამოძახებულ პატრულს ბაბუა სახლში დახვდა. მამაკაცი 83 წლისაა.

დაზარალებულს სამედიცინო დახმარება ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში გაუწიეს. ექიმების თქმით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გამოძიება მე-11 პრიმა და 117-ე მუხლებით დაიწყო, რაც ოჯახური კონფლიქტის დროს, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

# ფოთი-თბილისის მატარებელი 12 წლის ბიჭს დაეჯახა

## ბავშვი მართვით სუნთქვაზეა



გუშინ, 21 ოქტომბერს, ფოთი-თბილისის ჩქაროსნული მატარებელი 12 წლის ბიჭს დაეჯახა.

მოზარდი მძიმე მდგომარეობაშია და იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაშია გადაყვანილი. როგორც ინტერპრესნიუსს იაშვილის კლინიკაში განუცხადეს, ამ დროისთვის მოზარდი მართვით სუნთქვაზეა და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტში კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფება.

ექიმის თქმით, მოზარდის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა და ამ ეტაპზე ქირურგიული ჩარევის აუცილებლობა არ არსებობს.

– ამ ეტაპზე მდგომარეობა უცვლელია, არის მძიმე, არის ფილტვის ხელოვნურ ვენტილაციაზე. კომა შეფასდა 4 ქულით, რის გამოც არის გადაყვანილი ვენტილაციაზე.

კომპიუტერული კვლევით მას, ამ ეტაპზე, ქირურგიული ჩარევა არ სჭირდება. მოგვიანებით გაკეთდება საკონტროლო კომპიუტერული ტომოგრაფია, რომლითაც გადაწყდება მკურნალობის შემდგომი ტაქტიკა. ამ ეტაპზე მისი მდგომარეობა სტაბილურია, – განაცხადა ექიმმა.

შემთხვევა დაახლოებით 14:25 წუთზე, მეტროსადგურ „გოცირიძის" მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. „კურიერის" ინფორმაციით, 12 წლის ბიჭს ყურსასმენები ეკეთა, რის გამოც ფოთი-თბილისის მატარებლის მოახლოება ვერ გაიგო.

მომხდარზე გამოძიება 275-ე მუხლით დაიწყო, რაც სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრაობის წესების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული სიგარეტი გამოავლინეს



მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული სიგარეტი გამოავლინეს.

„15-21 ოქტომბერს, საბაჟო-გამშვებ პუნქტებში: „წითელი ხიდი" და „სარფი", სიგარეტის კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოსა და აზერბაიჯანის მოქალაქეების ფიზიკური და კუთვნილი ავტომანქანის დათვალიერების შედეგად, ჯამში, 11,340 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

სგპ „წითელი ხიდზე" 16 და 20 ოქტომბერს მომხდარი ფაქტების გამო, საქართველოს მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი, სატრანსპორტო საშუალება და სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, ათას-ათასი ლარის ოდენობით შეეფარდათ. საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სხვა სამართალდამრღვევ მოქალაქეებსაც ჩამოერთვათ საქონელი და თითოეულს სანქციის სახით შეეფარდა ფულადი ჯარიმა, ათას-ათასი ლარის ოდენობით" – აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ჩავუშოღლუ: „თუ ქურთები 35 საათში არ გავლენ, თურქეთი სამხედრო ოპერაციას განაახლებს“



თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, მევლუთ ჩავუშოღლუს თქმით, თურქეთი განაახლებს სამხედრო ოპერაციას სირიაში, თუ ქურთული სამხედრო ფორმირებები ტერიტორიას 35 საათის განმავლობაში არ დატოვებენ.

– ჩვენ 35 საათი დაგვრჩა. თუ ისინი არ გავლენ, ჩვენ განვაახლებთ ოპერაციას. ამაზე ამერიკელებთანაც შევთანხმდით, – განაცხადა ჩავლუშოღლუმ.

მისივე თქმით, თურქეთი ტერორისტულ ორგანიზაციებს ებრძვის და არა ქურთებს და აღნიშნა, რომ თურქეთს თავს 350.000 სირიელი ქურთი აფარებს.

სირიის დემოკრატიულმა ძალებმა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების პირობების ფარგლებში ქალაქი რას ალ აინი დატოვეს, თუმცა სირიელი აჯანყებულების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ჯარების გაყვანის პროცესი ჯერ არ დასრულებულა.

სირიის დემოკრატიული ძალების სპიკერი კინო გაბრიელი აცხადებს, რომ მათ აღნიშნულ ქალაქში მებრძოლები აღარ ჰყავთ.

ცოტა ხნის წინ თურქეთი დათანხმდა შეერთებული შტატების მოთხოვნას, სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთით ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების შესახებ. ანკარა რეგიონში სამხედრო ოპერაციას ახორციელებდა, რომელიც მიზნად ისახავდა სასაზღვრო ზოლის ქურთი მებრძოლებისგან გაწმენდას და ე.წ. „უსაფრთხოების ზონის“ შექმნას.

## უკრაინის მიტროპოლიტი ეპიფანე აშშ-ს ეწვია



უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაური, მიტროპოლიტი ეპიფანე აშშ-ში ჩავიდა.

ნიუ იორკში უკრაინულმა სათვისტომომ მას თბილი მიღება მოუწყო.

– დიდი მადლობა ესოდენ კარგი დახვედრისათვის, – განუცხადა თანამემამულეთ ეპიფანემ.

მიტროპოლიტმა თქვა, რომ უკრაინული ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიას უკვე მსოფლიოს წამყვანი ეკლესიები აღიარებენ. საბერძნეთის ეკლესიამ სტარტი მისცა ამ პროცესს.

– მსურს მადლობა გადავუხადო უკრაინის ხელისუფლებას, აგრეთვე თქვენ, ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც ახლა უკრაინის გარეთ ცხოვრობთ. თქვენი დახმარების გარეშე ამას ვერ მივაღწევდით, – თქვა მიტროპოლიტმა ეპიფანემ.

## ესპანეთის პრემიერი ბარსელონაში ჩავიდა

ესპანეთის პრემიერ-მინისტრი პედრო სანჩესი კატალონიაში ერთკვირიანი პროტესტის თავზე, დღეს ბარსელონაში ჩავიდა, სადაც განაცხადა, რომ რეგიონულმა პრეზიდენტმა ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა, აღედგინა წესრიგი რეგიონში.

პედრო სანჩესს კატალონიის დედაქალაქში ასობით მშვიდობიანი დემონსტრანტი დახვდა, რომლებიც კატალონიის ჰიმნს მღეროდნენ და მოუწოდებდნენ პრემიერს, მოლაპარაკებები გაემართა ადგილობრივ მთავრობასთან.



ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე, პედრო სანჩესმა ღია წერილი გამოაქვეყნა, სადაც ამბობდა, რომ ქიმ ტორამ, რეგიონულმა პრეზიდენტმა, ზურგი შეაქცია უსაფრთხოების ძალებს და მოუწოდა, დაუყოვნებლივ დაეგმო მიმდინარე მოვლენები.

თავის მხრივ, ტორამ განაცხადა, რომ ის ყოველთვის გმობდა ძალადობას და პრემიერი დიალოგის ჩაშლისთვის გააკრიტიკა.

კატალონიაში მდგომარეობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც სასამართლომ კატალონიის მთავრობის ყოფილ წარმომადგენლებს ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯა. ასი ათასობით ადამიანმა კატალონიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით მასშტაბური დემონსტრაციები გამართა, რაც პოლიციასთან დაპირისპირებაში გადაიზარდა.

კატალონიელთა 45% ესპანეთის ერთიანობის შენარჩუნებას უჭერს მხარს, 43% კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეა. სიტუაციას ქუჩაში ულტრა-მემარჯვენეების გამოჩენაც ართულებს. ისინი კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეებს თავს ესხმიან. შედეგად ხდება შეტაკებები. არიან დაზარალებულები.

## რუსულმა ბირთვულმა წყალქვეშა ნავმა რაკეტის გაშვება ვერ შეძლო

რუსულმა ბირთვულმა წყალქვეშა ნავმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა სამხედრო წვრთნებში, რომელსაც პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ხელმძღვანელობდა, გასულ კვირას ვერ შეძლო გაეშვა კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა.

ბირთვულმა წყალქვეშა ნავმა კ-44 რიაზანმა, რომელიც რუსეთის წყნარი ოკეანის ფლოტის ხომალდია, 17 ოქტომბერს ოხოტსკის ზღვიდან 2 რ-29რ ბალისტიკური რაკეტის გაშვება სცადა, თუმცა მხოლოდ ერთი გაისროლა.

სამხედრო წვრთნები რუსეთის შორეულ აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში მიმდინარეობდა, რომლებიც ქვეყნის სტრატეგიული ძალების ბირთვული კონფლიქტებისთვის მზაობის შესწავლას ისახავდა მიზნად.



## ჩილეში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა



ჩილეში არეულობის შედეგად გარდაცვლილთა რიცხვი 7-მდე გაიზარდა და ქვეყნის მთავრობამ საგანგებო მდგომარეობა, სანტიაგოს გარდა, რამდენიმე სხვა ქალაქშიც გამოაცხადა.

შს მინისტრმა ანდრეს ჩადვიქმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ „ძალადობისა და ვანდალიზმის“ ესკალაციის გამო, რის შედეგადაც სულ მცირე 7 ადამიანი გარდაიცვალა, ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა, სანტიაგოს გარდა, ქვეყნის 7 სხვა ქალაქშიც გამოაცხადა.

შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, საპროტესტო ტალღის დაწყების დღიდან, ქვეყანაში „ძალადობის 70 სერიოზული ინციდენტი მოხდა“, დაფიქსირდა სუპერმარკეტებსა და სხვა ბიზნესობიექტებზე განხორციელებული ვანდალიზმის ფაქტები.

სამართალდამცავების ინფორმაციით, ანტისამთავრობო საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით ამ დროისთვის ბრალი 1,500-მდე ადამიანს აქვს წაყენებული.

საპროტესტო აქციები ჩილეში მეტროთი მგზავრობის საფასურის ზრდას მოჰყვა და მასობრივ ანტისამთავრობო დემონსტრაციებში გადაიზარდა. ჩილეს პრეზიდენტმა სებასტიან პინიერამ ორი დღის წინ განაცხადა, რომ მგზავრობის საფასურის გაზრდა აღარ მოხდება.

## ირანში 5,6 ბალიანი მიწისძვრა მოხდა



ირანის სამხრეთ ნაწილში, ქალაქ ბანდარ აბასისგან 110 კილომეტრში 5,6 ბალიანი მიწისძვრა დაფიქსირდა, – ამის შესახებ ინფორმაციას ირანის მეცნიერებათა აკადემიის ერთიანი გეოფიზიკური სამსახური ავრცელებს.

ეპიცენტრში შოკების ინტენსივობის მიხედვით, სეისმური მოვლენა შეფასებულია, როგორც „ძალიან ძლიერი“.

ევრო-ხმელთაშუა ზღვის სეისმოლოგიური ცენტრის თანახმად, მიწისძვრა იგრძნობოდა არა მხოლოდ ირანში, არამედ დოჰაში (ყატარი), აბუ დაბისა და დუბაიში (არაბთა გაერთიანებული საამიროები).

ჯერჯერობით ცნობები დაზარალებულთა შესახებ არ ვრცელდება. ირანული მედიის ინფორმაციით, რეგიონში გაგზავნილია სამაშველო რაზმები.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## უზარმაზარმა თევზმა დიდ თეთრ ზვიგენს თავზე უკბინა




არაკომერციულმა ორგანიზაცია OCEARCH-მა, რომელიც ზღვის მტაცებლების შესწავლით არის დაკავებული, გამოაქვეყნა დიდი თეთრი ზვიგენის ფოტოსურათი, რომელსაც თავზე მასზე უფრო მსხვილი მტაცებლის თავდასხმის ნაკვალევი ემჩნევა.

OCEARCH-ის სპეციალისტებმა ამერიკის პენსილვანიისა და კონექტიკუტის შტატების რაიონში ატლანტის ოკეანეში დაიჭირეს დიდი თეთრი ზვიგენი, სახელად ვიმი. მისმა სიგრძემ – 388 სანტიმეტრი, ხოლო წონამ 528 კილოგრამი შეადგინა. მტაცებელი თევზი სათვალთვალო მოწყობილობებით აღჭურვეს და ისევ ოკეანეში დააბრუნეს.

ზვიგენს თავზე ორი ნაიარევი ეტყობოდა, რომელიც, როგორც ჩანს, სხვა მტაცებელი თევზის თავდასხმის შედეგია. ერთი იარა უკვე შეხორცებული აქვს, მეორე კი უფრო ახალია.

– სრულიად ნათელია, რომ მას თავში პირი სტაცა და კბილები ჩაასო, – განაცხადა ორგანიზაციის დამფუძნებელმა კრის ფიშერმა. ნაკბილარების მიხედვით, თავდამსხმელი თევზი მასზე გაცილებით დიდი იყო.

ფიშერი ვარაუდობს, რომ ვიმიმ ან სხვა მამრ ზვიგენთან იჩხუბა მდედრის გამო, ან თავისზე უფრო დიდ მდედრთან შეჯვარება ცადა, რომელმაც მას ამის ნაცვლად თავზე უკბინა. თუმცა, ის არც იმას გამორიცხავს, რომ თეთრი ზვიგენი სხვა გარემოებაშიც დაშავებულიყო, მაგალითად, სელაპთან ორთაბრძოლის დროს, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## განცხადებები

**იყიდება**

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ბათუმის დინამო ერთპიროვნულად გალიდერდა

**დინამო (თბ) – ლოკომოტივი 0:1**

**თბილისი. დინამო არენა.**

**0:1 თ.კირკიტაძე (90)**

**დინამო:** პერალესი, მონხილი, კობოური, ზარია (მჭედლიძე 74), კარიკარი, დაფე (კუხიანიძე 61), პაპავა, კუტალია, იაშვილი, კაპლიენკო (რუხაია 61), ნინუა

**ლოკომოტივი:** ბულისკერია, გურეშიძე, ჭანტურია, სამურკასოვი (თ.კირკიტაძე 76), შონია, გვალია, დ.კირკიტაძე (ჯიქია 90), კომახიძე, სიხარულიძე (შეყილაძე 90), გაბაძე, უბილავა

მატჩი სენსაციურად დასრულდა – დედაქალაქური დერბი დინამო არენაზე, რომელიც დინამოსა და ლოკომოტივს შორის გაიმართა, ლევან კორღალიძის გუნდმა მინიმალური სხვაობით მოიგო.

მატჩში ერთადერთი, გამარჯვების გოლი შეხვედრის 94-ე წუთზე თორნიკე კირკიტაძემ გაიტანა. სტუმართა ნახევარმცველმა, რომელიც ცვლილებაზე შევიდა, ასევე შეცვლაზე შესული ჯიქიასგან მიიღო ბურთი, დინამოელთა მეკარე ხოსე პერალესს თავზე გადაუგდო და თავის გუნდს 3 ქულა მოუტანა.

თბილისის დინამომ ამ მარცხით გაიუარესა მდგომარეობა სატურნირო ცხრილში.

**დილა-დინამო (ბთ) 0:0**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**დილა:** ჩოჩიშვილი, გიორბელიძე, მირცხულავა, ჩადუნელი, ნონდი (გაგნიძე 61), რაზმაძე, ფორტესი, კუცია, ნონიკაშვილი, იენდეუნტი, გოშთელიანი (კოვტალიუკი 65)

**დინამო:** ალავიძე, ტეიდი, ჯილაური (გაფრინდაშვილი 68), მანჯგალაძე, ფლამარიონი (თევდორაძე 90), კობახიძე, დვალიშვილი (მამუჩაშვილი 74), მელიავა, გაგოშიძე, ნავალოვსკი, რამოსი

ბათუმის დინამომ თბილისელი თანაკლუბების ბოძებული შანსი ვერ გამოიყენა და გორში დილას უგოლოდ დაუზავდა.

მატჩის პირველი ნახევარი თითქმის თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ზეწოლა სტუმრებმა განსაკუთრებულად მეორე ტაიმში გააძლიერეს. გია გეგუჩაძის ფეხბურთელებმა საკმაოდ ბევრი მწვავე მომენტიც შექმნეს, თუმცა გადამწყვეტ სიტუაციებში გორელებმა საკუთარი კარი საიმედოდ დაიცვეს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მასპინძელთა მეკარე, რომელმაც საკუთარი გუნდი გაშვებული გოლისგან რამდენიმე რთულ მომენტში იხსნა.

მას შემდეგ, რაც ბათუმის დინამოს მთავარმა კონკურენტმა, დედაქალაქურმა დინამომ ლოკომოტივთან წააგო, გამარჯვება ზღვისპირელებისთვის იდეალური იქნებოდა, მაგრამ მოპოვებული ქულის ხარჯზეც ბათუმელებმა 63 ქულით სატურნირო ცხრილში ერთპიროვნული ლიდერობა მოიპოვეს.

**ტორპედო-საბურთალო 0:2**

**ნყალტუბო. 26 მაისი**

**0:1 აბზიანიძე (48სკ), 0:2 დიასამიძე (60)**

**51-ე წუთზე სანდოხაძემ ვერ გაიტანა პენალტი**

**ტორპედო:** ასათიანი, აფრიდონიძე, სანებლიძე (მაღლაფერიძე 68), მელაძე (ბაბუნაშვილი 58), დეისაძე, ფიფია, აბზიანიძე, აბულაძე, შარვაშიძე (ელბაქიძე 76), ბოჭორიშვილი, ქორიძე

**საბურთალო:** მიგინეიშვილი, სანდოხაძე, ლაკვეხელიანი, ჩაბრაძე (მალი 46), ცნობილაძე, დიასამიძე (გაბედავა 62), კაკუბავა, ალთუნაშვილი (მარგველაშვილი 69), გი, როლოვიჩი, გორგიაშვილი



კლუბში არსებული ვითარების გამო მასპინძლებს შესუსტებული შემადგენლობით მოუწიათ თამაში. ქუთაისის ტორპედოს თბილისის საბურთალოსთან გამართული მატჩის განაცხადში 15-16 წლის ახალგაზრდები ჭარბობდნენ და 18-კაციანი სამატჩო განაცხადიდან მხოლოდ 7 ფეხბურთელი იყო სრულწლოვანი, ხოლო სათადარიგოთა სკამზე სულაც 13 წლის მეკარე ჰყავდა – სოსო კოპალიანი.

მოგეხსენებათ, მეორე გუნდიდან ტორპედოს ფეხბურთელების დამატების უფლება არ ჰქონდა და კახა ჩხეტიანი იძულებული იყო, მოთამაშეები ახალგაზრდული გუნდიდან გამოეყვანა მოედანზე.

მატჩის პირველი ნახევარი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა.

ანგარიში ავტოგოლით მეორე ნახევრის დებიუტშივე გაიხსნა – საკუთარ კარში გოლი გიორგი აბზიანიძემ გაიტანა და საბურთალო დაწინაურდა. ორამდე უპირატესობის გაზრდა ნიკოლოზ სანდოხაძეს 51-ე წუთზე შეეძლო, თუმცა მისი დარტყმული თერთმეტმეტრიანი ქუთაისელთა 16 წლის მეკარე დავით ასათიანმა მოიგერია. სხვათა შორის, ეს ასათიანის მე-2 მოგერიებულია პენალტია მიმდინარე სეზონში. პირველი პენალტიც საბურთალოს მატჩში როლოვიჩს აუღო.

დარჩენილ დროში გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა მაინც მოახერხა გოლის გატანა – გიორგი დიასამიძემ ტორპედოს კარი მე-60 წუთზე აიღო და საბურთალომ 3 ქულა მოიპოვა.

**ვიტ ჯორჯია-სიონი 0:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

**ვიტ ჯორჯია:** ისერგიშვილი, კიკალიშვილი, ვარძელაშვილი, მაქაცარია, ხუციანიძე (მუზაშვილი 78), ზარიძე (აბულაძე 89), მუსელიანი, თათხაშვილი, ქისიევი, სეხნიაშვილი, ნანობაშვილი (აშორდია 85)

**სიონი:** გოშაძე, უგრეხელიძე, ხმალაძე, უგულავა, ტატანაშვილი, ცაცკრიალაშვილი (თარხნიშვილი 65), ჯაფიაშვილი, აფაქიძე, სუხიაშვილი, გვარაძე (თარგამაძე 66), ივანიშვილი (ტვილდიანი 76)

მიმდინარე ტურის კიდევ ერთი შეხვედრა დასრულდა 0:0. გათამაშების აუტსაიდერთა დაპირისპირება მიხეილ მესხის სახელობის სათადარიგო მოედანზე ვიტ ჯორჯიასა და ბოლნისის სიონს შორის შედგა. ვლადიმერ ხაჩიძის გუნდმა ამჯერად მნიშვნელოვანი ქულები ბოლნისელებს დააკარგვინეს.

ამ დროისთვის ვიტ ჯორჯიას 19 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილის ბოლო საფეხურზეა. სიონი კი 32 ქულით მე-9 პოზიციას იკავებს.

**ჩიხურა-რუსთავი 3:2**

**ივანწმინდა. ცენტრალური**

1:0 ჩიკვაიძე (4), 1:1 ქავთარაძე (16პ), 1:2 სილაგაძე (45), 2:2 ფანცულაია (49), 3:2 კორიფაძე (90პ)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, კამლაძე (ჩიტეიშვილი 17), მარკოზაშვილი, მაისაშვილი, ლეკვთაძე, კორიფაძე, დეკანოიძე, ფანცულაია (არდაზიშვილი 76), ჩიხლაძე (სარდალიშვილი 40), ჩიკვაიძე, კაშია

**რუსთავი:** მამარდაშვილი, ც.კაპანაძე, ლაცაბიძე, ნოზაძე, სილაგაძე, გუჯაბიძე, ბ.ქავთარაძე, ქოჩლაძე (სალუქვაძე 90), იმნაძე (ძალამიძე 77), ბაირამოვი, გუბულოვი (ვასაძე 64)

ტურის ყველაზე უხვგოლიანი მატჩი ივანწმინდაში გაიმართა, სადაც ჩიხურამ რუსთავს უმასპინძლა.

მასპინძლებმა ანგარიში უკვე მე-4 წუთზე ლაშა ჩიკვაიძის მიერ გატანილი გოლით გახსნეს. 27-ე წუთზე კი ბექა ქავთარაძემ წონასწორობა თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაათანაბრა. პირველი ტაიმის მიწურულს კი ლუკა სილაგაძემ რუსთაველები წინ გაიყვანა.

მე-2 ტაიმი სოსო ფრუიძის გუნდის აქტიურობით და მორიგი გოლით დაიწყო. 49-ე წუთზე ანგარიში გიორგი ფანცულაიამ გაათანაბრა. შეხვედრაში საბოლოო ანგარიში კი, თამაშის მიწურულს დაფიქსირდა – მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში არბიტრმა კიდევ ერთი პენალტი დანიშნა, ამჯერად რუსთაველთა კარში. გიორგი კორიფაძემ გოლად აქცია და თავის გუნდს უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოუტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 31 | 19 | 6 | 6 | 51-25 | 63 |
| 2.დინამო (თბ) | 31 | 19 | 5 | 7 | 62-29 | 62 |
| 3.საბურთალო | 31 | 18 | 6 | 7 | 56-31 | 60 |
| 4.ლოკომოტივი | 31 | 13 | 4 | 14 | 37-42 | 43 |
| 5.ტორპედო | 31 | 11 | 7 | 13 | 48-47 | 40 |
| 6.დილა | 31 | 10 | 8 | 13 | 34-38 | 38 |
| 7.ჩიხურა | 31 | 9 | 11 | 11 | 40-38 | 38 |
| 8.რუსთავი | 31 | 8 | 10 | 13 | 34-48 | 34 |
| 9.სიონი | 31 | 8 | 8 | 15 | 32-69 | 32 |
| 10.ვიტ ჯორჯია | 31 | 4 | 7 | 20 | 13-40 | 19 |

## შედეგები

### 20 ოქტომბერი

**ფეხბურთი**

**აფრიკის ერთა თასი**

ბურკინა ფასო-განა ........................ 0:0
კოტ დივუარი-ნიგერი .................... 1:0
მალი-მავრიტანია ........................... 2:0
ლიბია-ტუნისი ................................ 1:2
ლესოტო-ზიმბაბვე ........................ 0:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-ლივერპული ............ 1:1 (1:0)

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 9 | 8 | 1 | 0 | 21-7 | 25 |
| 2.სიტი | 9 | 6 | 1 | 2 | 29-9 | 19 |
| 3.ლესტერი | 9 | 5 | 2 | 2 | 16-8 | 17 |
| 4.ჩელსი | 9 | 5 | 2 | 2 | 19-14 | 17 |
| 5.არსენალი | 8 | 4 | 3 | 1 | 13-11 | 15 |
| 6.კრ.პალასი | 9 | 4 | 2 | 3 | 8-10 | 14 |
| 7.ტოტენჰემი | 9 | 3 | 3 | 3 | 15-13 | 12 |
| 8.ბარნლი | 9 | 3 | 3 | 3 | 12-11 | 12 |
| 9.ბორნმუთი | 9 | 3 | 3 | 3 | 13-13 | 12 |
| 10.ვესტ ჰემი | 9 | 3 | 3 | 3 | 11-13 | 12 |
| 11.ასტონ ვილა | 9 | 3 | 2 | 4 | 15-13 | 11 |
| 12.ვულვზი | 9 | 2 | 5 | 2 | 12-12 | 11 |
| 13.მანჩესტერი | 9 | 2 | 4 | 3 | 10-9 | 10 |
| 14.ევერტონი | 9 | 3 | 1 | 5 | 8-13 | 10 |
| 15.შეფილდი | 8 | 2 | 3 | 3 | 7-7 | 9 |
| 16.ბრაიტონი | 9 | 2 | 3 | 4 | 9-12 | 9 |
| 17.საუთჰემპტონი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-16 | 8 |
| 18.ნიუკასლი | 9 | 2 | 2 | 5 | 5-14 | 8 |
| 19.ნორვიჩი | 9 | 2 | 1 | 6 | 10-21 | 7 |
| 20.უოტფორდი | 9 | 0 | 4 | 5 | 5-21 | 4 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

უიგანი-ნოტინგემი ......................... 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

კიოლნი-პადერბორნი ..................... 3:0
ჰოფენჰაიმი-შალკე ......................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გლადბახი | 8 | 5 | 1 | 2 | 15-7 | 16 |
| 2.ვოლფსბურგი | 8 | 4 | 4 | 0 | 11-5 | 16 |
| 3.ბაიერნი | 8 | 4 | 3 | 1 | 22-10 | 15 |
| 4.დორტმუნდი | 8 | 4 | 3 | 1 | 20-11 | 15 |
| 5.ლაიფციგი | 8 | 4 | 3 | 1 | 16-8 | 15 |
| 6.ფრაიბურგი | 8 | 4 | 2 | 2 | 15-9 | 14 |
| 7.შალკე | 8 | 4 | 2 | 2 | 14-9 | 14 |
| 8.აინტრახტი | 8 | 4 | 2 | 2 | 14-10 | 14 |
| 9.ლევერკუზენი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-11 | 14 |
| 10.ჰერტა | 8 | 3 | 2 | 3 | 13-13 | 11 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 8 | 3 | 2 | 3 | 8-11 | 11 |
| 12.ვერდერი | 8 | 2 | 3 | 3 | 13-17 | 9 |
| 13.ფორტუნა | 8 | 2 | 1 | 5 | 10-14 | 7 |
| 14.უნიონი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-13 | 7 |
| 15.კიოლნი | 8 | 2 | 1 | 5 | 7-16 | 7 |
| 16.აუგსბურგი | 8 | 1 | 3 | 4 | 10-21 | 6 |
| 17.მაინცი | 8 | 2 | 0 | 6 | 7-18 | 6 |
| 18.პადერბორნი | 8 | 0 | 1 | 7 | 9-21 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-კარლსრუე ........................ 3:3
ჰანოვერი-ოსნაბრიუკი .................. 0:0
შტუტგარტი-კილი .......................... 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-სელტა ............................. 2:0
სოსიედადი-ბეტისი ........................ 3:1
ესპანიოლი-ვილიარეალი .............. 0:1
ბილბაო-ვალიადოლიდი ................ 1:1
სევილია-ლევანტე ......................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 9 | 6 | 1 | 2 | 23-10 | 19 |
| 2.რეალი | 9 | 5 | 3 | 1 | 16-9 | 18 |
| 3.გრანადა | 9 | 5 | 2 | 2 | 16-10 | 17 |
| 4.სოსიედადი | 9 | 5 | 1 | 3 | 16-10 | 16 |
| 5.ატლეტიკო | 9 | 4 | 4 | 1 | 8-5 | 16 |
| 6.სევილია | 9 | 5 | 1 | 3 | 11-11 | 16 |
| 7.ვილიარეალი | 9 | 4 | 2 | 3 | 20-13 | 14 |
| 8.ბილბაო | 9 | 3 | 4 | 2 | 8-5 | 13 |
| 9.ხეტაფე | 9 | 3 | 4 | 2 | 14-12 | 13 |
| 10.ვალენსია | 9 | 3 | 4 | 2 | 13-13 | 13 |
| 11.ოსასუნა | 9 | 2 | 5 | 2 | 7-8 | 11 |
| 12.ლევანტე | 9 | 3 | 2 | 4 | 10-11 | 11 |
| 13.ვალიადოლიდი | 9 | 2 | 5 | 2 | 8-9 | 11 |
| 14.ალავესი | 9 | 3 | 2 | 4 | 7-9 | 11 |
| 15.მალიორკა | 9 | 3 | 1 | 5 | 7-12 | 10 |
| 16.ეიბარი | 9 | 2 | 3 | 4 | 10-13 | 9 |
| 17.ბეტისი | 9 | 2 | 3 | 4 | 12-19 | 9 |
| 18.სელტა | 9 | 2 | 3 | 4 | 5-11 | 9 |
| 19.ესპანიოლი | 9 | 1 | 2 | 6 | 4-15 | 5 |
| 20.ლეგანესი | 9 | 0 | 2 | 7 | 4-14 | 2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ფუენლაბრანდა-ალბასეტე ............ 0:1
დეპორტივო-მალაგა ..................... 0:2
ოვიედო-ხირონა ............................ 4:2
ტენერიფე-რასინგი ........................ 3:3
სარაგოსა-მირანდესი .................... 1:2

**იტალია. სერია ა**

სასუოლო-ინტერი ......................... 3:4
კალიარი-სპალი ............................ 2:0
სამპდორია-რომა .......................... 0:0
უდინეზე-ტორინო ......................... 1:0
პარმა-ჯენოა ................................. 5:1
მილანი-ლეჩე ................................ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 8 | 7 | 1 | 0 | 15-7 | 22 |
| 2.ინტერი | 8 | 7 | 0 | 1 | 18-7 | 21 |
| 3.ატალანტა | 8 | 5 | 2 | 1 | 21-13 | 17 |
| 4.ნაპოლი | 8 | 5 | 1 | 2 | 17-10 | 16 |
| 5.კალიარი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-7 | 14 |
| 6.რომა | 8 | 3 | 4 | 1 | 12-10 | 13 |
| 7.ლაციო | 8 | 3 | 3 | 2 | 16-9 | 12 |
| 8.პარმა | 8 | 4 | 0 | 4 | 13-11 | 12 |
| 9.ფიორენტინა | 7 | 3 | 2 | 2 | 12-10 | 11 |
| 10.ტორინო | 8 | 3 | 1 | 4 | 10-11 | 10 |
| 11.უდინეზე | 8 | 3 | 1 | 4 | 4-6 | 10 |
| 12.მილანი | 8 | 3 | 1 | 4 | 8-11 | 10 |
| 13.ბოლონია | 8 | 2 | 3 | 3 | 10-11 | 9 |
| 14.ვერონა | 8 | 2 | 3 | 3 | 6-7 | 9 |
| 15.ლეჩე | 8 | 2 | 1 | 5 | 9-17 | 7 |
| 16.სასუოლო | 7 | 2 | 0 | 5 | 14-16 | 6 |
| 17.ბრეშა | 6 | 2 | 0 | 4 | 7-9 | 6 |
| 18.სპალი | 8 | 2 | 0 | 6 | 6-15 | 6 |
| 19.ჯენოა | 8 | 1 | 2 | 5 | 9-20 | 5 |
| 20.სამპდორია | 8 | 1 | 1 | 6 | 4-16 | 4 |

**იტალია. სერია ბ**

კიევო-ასკოლი ............................... 2:0
პიზა-კროტონე ............................... 1:1
ემპოლი-კრემონეზე ....................... 1:1

**საფრანგეთი 1 ლიგა**

ბორდო-სტ.ეტიენი ........................ 0:1
მონაკო-რენი ................................. 3:2
მარსელი-სტრასბური .................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 10 | 8 | 0 | 2 | 21-5 | 24 |
| 2.ნანტი | 10 | 6 | 1 | 3 | 9-6 | 19 |
| 3.რეიმსი | 10 | 5 | 2 | 3 | 9-4 | 17 |
| 4.მარსელი | 10 | 4 | 4 | 2 | 12-11 | 16 |
| 5.ანჟე | 10 | 5 | 1 | 4 | 16-16 | 16 |
| 6.ბორდო | 10 | 4 | 3 | 3 | 15-11 | 15 |
| 7.ლილი | 10 | 4 | 3 | 3 | 14-11 | 15 |
| 8.მონპელიე | 10 | 4 | 2 | 4 | 9-8 | 14 |
| 9.ბრესტი | 10 | 3 | 5 | 2 | 11-13 | 14 |
| 10.სტ.ეტიენი | 10 | 4 | 2 | 4 | 9-13 | 14 |
| 11.ნიცა | 10 | 4 | 1 | 5 | 13-17 | 13 |
| 12.რენი | 10 | 3 | 3 | 4 | 10-10 | 12 |
| 13.ამიენი | 10 | 3 | 3 | 4 | 13-15 | 12 |
| 14.მონაკო | 10 | 3 | 3 | 4 | 18-21 | 12 |
| 15.ტულუზა | 10 | 3 | 3 | 4 | 11-16 | 12 |
| 16.მეცი | 10 | 3 | 2 | 5 | 9-14 | 11 |
| 17.ლიონი | 10 | 2 | 4 | 4 | 14-9 | 10 |
| 18.ნიმი | 10 | 2 | 4 | 4 | 10-12 | 10 |
| 19.სტრასბური | 10 | 2 | 3 | 5 | 6-12 | 9 |
| 20.დიჟონი | 10 | 2 | 3 | 5 | 5-10 | 9 |

**ნიდერლანდები. ეროვიზიონი**

ზვოლე-დენ ჰააგი ........................... 3:1
გრონინგენი-სპარტა ....................... 2:0
ემენი-სიტარდი .............................. 2:1
ფეინოორდი-ერაკლესი ................. 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ორენბურგი-კრილია ..................... 0:1
უფა-ცსკა ....................................... 1:1
არსენალი-სოჭი ............................. 1:1
დინამო-კრასნოდარი .................... 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-ციურიხი ........................... 0:0
ლუცერნი-სიონი ............................ 3:1
სერვეტი-სტ.გალენი ...................... 1:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰართსი-რეინჯერსი ....................... 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ტიროლი-ჰარტბერგი .................... 0:1
სტ.პოლენი-აუსტრია ..................... 2:2
რაპიდი-ვოლფსბერგერი ............... 1:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

მეხელენი-ანტვერპენი .................. 3:1
ანდერლეხტი-სტ.ტრუისენი .......... 4:1
სერკლი-შარლერუა ...................... 0:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანიონიოსი-შარლერუა ................ 0:1
ქსანთი-არისი ................................ 0:1
პაოკი-ლამია ................................. 3:0
აეკი-ვოლოსი ................................ 3:2
ატრომიტოსი-პანათინაიკოსი ...... 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-ქაშიმფაშა ...................... 1:1
ალანია-რიზე ................................. 5:2
დენიზლი-ფენერბახჩე ................... 1:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბოჰემიანსი-ოპავა ........................ 1:0
პლზენი-ბანიკი ............................. 3:0
კარვინა-სლოვაცკო ...................... 0:2
ტეპლიცე-სპარტა .......................... 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

არკა-ლეხია .................................. 2:2
გურნიკი-ლოძი .............................. 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მარიუპოლი-დნიპრო .................... 1:0
დინამო-ოლექსანდრია ................. 1:0
ოლიმპიკი-ვორსკლა .................... 2:0

**დანია. სუპერლიგა**

ჰორსენსი-ჰობრო ......................... 1:0
ორხუსი-სილკებორგი ................... 3:4
სონდერიისკე-ნორდსიელანდი ...... 1:4
კოპენჰაგენი-ესბიეგი ................... 3:1
ლუნგბიუ-ბრონდბიუ .................... 0:3

**შვედეთი. ალსვენსკა**

ფალკენბერგი-აიკი ....................... 1:5
ჰამარბი-მალმიო ........................... 2:0
ნორჩიოპინგი-კალმარი ................. 1:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვიკინგი-ტრომსო ........................... 2:1
მიოლდე-ჰაუგესუნდი ................... 3:1
რანჰეიმი-ოდ გრელანდი ............... 4:1
სტრომგოდსეტი-ლილესტრიომი .. 1:1
სარპსბორგი-ბრანი ...................... 1:1

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი, კინორეჟისორი მამაკაცი; 2. მდგომარეობა ჭიდაობაში; 3. საფოსტო მარკების შეგროვება; 4. ქართული მითოლოგიის გმირი; 5. ექიმის სპეციალობა; 10. „ფორმულ-1"-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 11. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 12. ბაზრის ძველებური სახელწოდება; 13. ქართველი მოდელიერი ქალი; 16. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 17. უკრაინის პრეზიდენტი; 19. უბანი თბილისში; 21. მეტალურგიაში-ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს დნობის დასაჩქარებლად; 23. კომბინაცია პოკერში.

**თარაზულად:** 1. უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულვილი; 7. ტბა გულრიფშის რაიონში; 8. თეატრალური პრემია საქართველოში; 9. ფრანგ მწერალ ანრი ბეილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 14. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 15. სარაგბო, საფეხბურთო სტადიონი კარდიფში; 18. დაუსაბუთებლად ბრმად მიღებული დებულება; 20. მოოქროვილი ვერცხლის ნაკეთობა; 22. თირკმელების ანთება; 24. აეროპორტი კაიროში; 25. ლიეტუვას დედაქალაქი; 26. ჩეხი იუმორისტი მწერალი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ქანთრი; 7. ლავირება; 8. ეტიუდი; 10. კარმა; 11. კონსენსუსი; 13. ვიდიკონი; 16. თეზისი; 19. ნემესიდა; 20. დანტისტი.

**შვეულად:** 1. პასტიჩო; 2. პრადო; 3. პასიანსი; 4. პრიმატი; 5. ლაბრადორი; 9. ნისანი; 12. მერგელი; 14. ილუზია; 15. კედი; 17. სევდა; 18. ენდი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ნიანგი; 2. გაი; 3. ტემპი; 4. პროზა; 5. სიმონია; 6. მარტინ; 7. ტინი; 8. ლაცორია; 9. დია; 10. დუნაი; 11. მინსკი; 12. მერია; 13. ტრიუმი; 14. ალიმენტი; 15. ცენტნერი; 16. ფანტომი; 17. უტიე; 18. ორპირი; 19. აფრა; 20. რაუნდი; 21. ივნისი; 22. პროტეინი; 23. „ფორტე"; 24. ფარ; 25. მარსი; 26. ლემა; 27. მისის; 28. ლიე; 29. რამბულიე; 30. აბა; 31. კაბა; 32. ილი; 33. ვიკუნია. **სურათებზე:** მილენ დემონჟო; მაურო სარატე.

## სამგლოვიარო განცხადებები

მურმან ღვინჯილიას, ბახვა ქობალიასა და ზამირა შონიას ოჯახები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

**რუსუდან (ნატო) ბერიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

22 ოქტომბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.9718 |
| ევრო | — 3.3088 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.8345 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.6461 |

## ამინდის პროგნოზი 22 ოქტომბერი








## 16 ოქტომბრიდან

გიორგი კოკოშაშვილი
**ქართული საბრძოლო ხელოვნება**
ჩვენი ღირსებანი

**ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი**

## 5 ნოემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის
**ბაზალეთისა ტბის ძირას**
წიგნი III

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**





## ირაკლი მაქაცარია ყველაზე მოდური მამაკაცების ათეულშია



ტელეწამყვანი, ქართული და უკრაინული „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილე ირაკლი მაქაცარია ყველაზე მოდური მამაკაცების ათეულში მოხვდა. იგი უკრაინაში მამაკაცებისთვის დაწესებული ერთადერთი მოდის ჯილდოს ელე მენ ავარდსის ნომინანტია. ირაკლი მაქაცარია ყველაზე მოდური მამაკაცების საუკეთესო ათეულში ცნობილ უკრაინელ მუსიკოსებთან, პოლიტიკოსებთან, ბიზნესმენებთან და შეფ მზარეულებთან ერთად აღმოჩნდა. ირაკლისთვის ხმის მიცემა ინტერნეტით მიმდინარეობს და ნებისმიერ მსურველს მისთვის მხარდაჭერა მხოლოდ ერთხელ 6 ნოემბრამდე შეუძლია.



## ირაკლი სოლომანაშვილის ფილმი ჰოლივუდში 12 რჩეულ ფინალისტს შორისაა

ქართველი რეჟისორის ირაკლი სოლომანაშვილის ფილმი „დევნილი“ ჰოლივუდის უცხოური პრესის ასოციაციის სასტიპენდიო პრემიის მოსაპოვებლად იბრძოლებს.

რეჟისორის სადებიუტო ნამუშევრით ჰოლივუდში დაინტერესდნენ. ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი 12 რჩეულ ფინალისტს შორის მოხვდა. წარმატებასთან დაკავშირებული ოფიციალური წერილი ჰოლივუდიდან ირაკლი სოლომანაშვილმა უკვე მიიღო. ფილმის სცენარი ირაკლი სოლომანაშვილის სტუდენტის თამთა იობაიას სადიპლომო ნამუშევრის მიხედვით დაიწერა. „დევნილი“ კინოცენტრის სუბსიდირებით, სტუდიამ „ნალი“ წეროვანში გადაიღო.

– ომის დასასრული არ ნიშნავს მშვიდობას, – ეს „დევნილის“ რეფრენია, რომელმაც შორეულ ამერიკაშიც დიდი ინტერესი გამოიწვია.

## იუმორი

დედა შვილს ეუბნება:
– კარენ, ხომ გითხარი, მაღაზიიდან დაჭრილი პური ამოიტანე, ვაა...
– რატომ?
– რომ ვჭრით, ნაფხვენებს ვკარგავთ, ვაა.

●●●

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:
– ბრალდებულო, რატომ ესროლეთ ქვა და თავი გაუტეხეთ გამყიდველს?
– ქვა კი არა, „ახალი ფუნთუშა“ იყო, რომელიც მან მომყიდა!

●●●

ექიმი პაციენტს ეკითხება:
– ეწევით?
– დიახ!
– სვამთ?
– დიახ!
– და რაღა გინდათ?
– ქალი!

●●●

მოხუცი ქალი ქუჩაში ყოველდღე მწვანილით ვაჭრობდა, კონას 20 თეთრად ყიდიდა. მასთან ყოველდღე მიდიოდა ახალგაზრდა მამაკაცი, 20 თეთრს აძლევდა, მწვანილი კი არ მიჰქონდა. ერთ დღესაც, როდესაც მამაკაცმა ისევ გაუწოდა 20- თეთრიანი, ქალმა ხელი დაუკავა. ახალგაზრდა ეუბნება:
– თქვენ ალბათ გაინტერესებთ, თუ რატომ გიტოვებთ ფულს, მაგრამ მწვანილი არ მიმაქვს.
– არა, ეგ სულაც არ მაინტერესებს, უბრალოდ, დღეიდან მწვანილი 30 თეთრი ღირს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## იურგენ კლოპი: „მანჩესტერ იუნაიტედი მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდა“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა მანჩესტერ იუნაიტედთან თამაშის შემდეგ აღნიშნა, რომ მეტოქე მუდმივად დაცვაზე ფიქრობდა და ამან ლივერპულს თამაში ძალიან გაურთულა:

– რთულია მოგება, როდესაც მეტოქე დაცვაზე არის ორიენტირებული. არავის ვაკრიტიკებ, ეს უბრალოდ ფაქტებია. ვფიქრობ, დღეს ყველაფერი ჩვენ წინააღმდეგ იყო და ამიტომ ვერ მოვახერხეთ გამარჯვება, მაგრამ ფრე ცუდი შედეგი არ არის.

მანჩესტერ იუნაიტედმა და ლივერპულმა 1:1 ითამაშეს და ამ თამაშმა ლივერპულის მოგებათა სერია შეწყვიტა.

## იბრაჰიმოვიჩი იტალიაში დაბრუნებას არ გამორიცხავს



ლონ ანჯელეს გალაქსის ვეტერანმა ფეხბურთელმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ჯერ კარიერის დასრულებას არ აპირებს. უფრო მეტიც, ზლატანის აზრით, მას შეუძლია ევროპაში დაბრუნება და მაღალ დონეზე თამაში.

– როდესაც მოედანზე ვარ, თავს ახალგაზრდულად ვგრძნობ და ვხვდები, რომ კიდევ ბევრი რამ შემიძლია. ევროპაში დაბრუნებაზე სერიოზულად ვფიქრობ და თუ კარგი წინადადება მექნება, აუცილებლად დავბრუნდები.

იტალიურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ზლატანის შეძენა ინტერს სურს.



## რეალი მოურინიოს არ ეშვება

მადრიდის რეალის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი კვლავინდებურად აწარმოებს მოლაპარაკებებს ჟოზე მოურინიოსთან, რომელიც ამჟამად არც ერთ გუნდში არ მუშაობს. რეალმა წლევანდელი სეზონი არცთუ კარგად დაიწყო და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა ზიდანი თანამდებობიდან გაათავისუფლონ.

მის შემცვლელად პერესი სწორედ მოურინიოს მოიაზრებს, თუმცა რეალის რამდენიმე ფეხბურთელს ეს არ სურს, განსაკუთრებით სერხიო რამოსს, რომელსაც მოურინიოსთან კონფლიქტი ჰქონდა.

## ერნესტო ვალვერდე: „ცუდია, რომ ელ-კლასიკო გადაიდო“



ბარსელონას მთავარმა მწრთვნელმა ერნესტო ვალვერდემ განაცხადა, რომ მას სურდა ბარსელონას და რეალს 26 ოქტომბერს ეთამაშათ და დამწუხრებულია იმის გამო, რომ ეს არ მოხდება, მაგრამ კარგად ესმის, თუ რატომ გადაიდო ეს შეხვედრა:

– მესმის რომ პოლიტიკური მდგომარეობა ამჟამად დაძაბულია და რეალთან შეხვედრის ჩატარება სარისკო იქნებოდა, თუმცა რეალთან პაექრობა ყოველთვის განსაკუთრებულია და მოუთმენლად ველი დეკემბერს. იმედია, მანამდე არაფერი მოხდება.

ბარსელონა-რეალის დაპირისპირება დეკემბერში გადაიდო და ზუსტი თარიღი ჯერჯერობით ცნობილი არ არის.



## კრიშტიანო რონალდუ: „კარიერის დასრულებაზე არ ვფიქრობ“

იუვენტუსის ფეხბურთელმა კრიშტიანო რონალდუმ თავის კარიერაზე ისაუბრა და თქვა, რომ თავს ძალიან კარგად გრძნობს და კარიერის დასრულებაზე საერთოდ არ ფიქრობს.

– ასაკი მხოლოდ ციფრებია და ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს. ვიცი, რა უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ კარგ ფორმაში ვიყო და ჩემს თავს კარგად ვუვლი. იუვენტუსში ბევრი ტიტულის მოგება მსურს და ამისთვის ძალებს არ დავიშურებ, – თქვა სუპერვარსკვლავმა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## „საქართველოს ვარსკვლავის“ წამყვანი რუსკა მაყაშვილი იქნება

მუსიკალური შოუს „საქართველოს ვარსკვლავის“ წამყვანი რუსთაველის თეატრის მსახიობი რუსკა მაყაშვილი იქნება. მას პარტნიორობას აღარ გაუწევს კინომსახიობთა თეატრის მსახიობი ვანიკო თარხნიშვილი, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, „მთავარ არხზე“ „მხოლოდ ქართულის“ წამყვანი იქნება.

ინფორმაცია შოუს ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა.



## შატილის სკოლის აღდგენის პროცესში ეროვნული ბიბლიოთეკა ჩაერთვება

რამდენიმე დღის წინ შატილში დამწვარი სკოლის აღდგენის პროცესში საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკაც ჩაერთვება.

გიორგი კეკელიძე, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:

– შატილის სკოლის აღდგენის პროცესში ეროვნული ბიბლიოთეკა ევროპულ სკოლასთან ერთად ჩაერთვება და ბიბლიოთეკას სრულად მოაწყობს.

ამ საოცარ სოფელში ორი თვეც არ არის, რაც წიგნები ავიტანეთ და სამუდამოდ მოვიხიბლე იქაურობით.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



22 ოქტომბრისათვის

**ვერძი** – ნებისმიერი საქმიანობა დიდ ენერგიას წაგართმევთ. როგორც ოჯახში, ისე სამსახურში რთული პერიოდი გაქვთ. **კურო** – არასასიამოვნო ინფორმაცია აგაფორიაქებთ. იმისათვის, რომ წონასწორობა და სულიერი სიმშვიდე აღიდგინოთ, გაისეირნეთ. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი შემცირებულია. საქმიან ქაღალდებთან ურთიერთობა წარმატებული იქნება. გელით როგორც პირადი, ისე საქმიანი შეხვედრა. **კირჩხიბი** – დაისვენეთ და მოდუნდით. უმჯობესია, თუ სახლში არ დარჩებით და ბუნების წიაღში გაისეირნებთ. **ლომი** – მორიგი ბედის გამოცდა გრძელდება. არსებული პრობლემები, უმჯობესია, არასტანდარტული გზით გადაჭრათ. **ქალწული** – ნუ იქნებით ეგოისტი. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალ დონეზეა. ნებისმიერ საქმეს უპრობლემოდ მოაგვარებთ. **ღრიანკალი** – დღეს მაქსიმალური სიმტკიცისა და პრინციპულობის გამოჩენა გმართებთ. სიახლეების პერიოდი გაქვთ. ინტუიცია არ გიღალატებთ. **მშვილდოსანი** – დაძაბული დღეა. მოსალოდნელია უსიამოვნო ინფორმაცია. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **თხის რქა** – საკუთარ ძალებში დარწმუნებული ხართ. სანამ რამეს დაგეგმავთ, წინასწარ კარგად დაფიქრდით. **მერწყული** – იღბლიანი დღეა. განსაკუთრებული სიბრძნისა და მოთმინების გამოჩენა გმართებთ. ერიდეთ კონფლიქტს ბავშვებთან. **თევზები** – დღეს თქვენი არაკეთილმოსურნენი შეეცდებიან, გაგაცურონ. ნურავის მიენდობით და ნურავისზე დამოკიდებული ნუ იქნებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. უღრანი, გაუვალი ტროპიკული ტყე; 2. პატარა ბუ; 3. ავადმყოფური გადახრა ნორმიდან; 4. ქართველი მწერალი, რომან „გმირთა ვარამი“-ს ავტორი; 5. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 8. აეროპორტი პრაღაში; 9. ქართველი პოეტი ქალი; 12. ქვის, ღორღის დამაქუცმაცებელი მანქანა; 14. შტატი აშშ-ში; 16. ბრაზილიელი მწერალი.

**თარაზულად:** 1. საეკლესიო წესით ქორწინება; 6. მცენარეული წარმოშობის შაქარი; 7. აზოტმჟავას მარილი; 9. წყალქვეშა სამუშაოებისთვის განკუთვნილი ჰერმეტული კამერა; 10. პატარა რესტორანი; 11. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 13. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 15. მინერალური წყალი სამეგრელოში; 17. ამერიკული ფარმაცევტული კომპანია; 18. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 19. ცნობილი თურქი ფეხბურთის მსაჯი; 20. პარიზის ძველი სახელწოდება.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

